# საჩემპიონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 ივლისი 2007 №151 (3074) ფასი 50 თეთრი



## იაშვილის ათიანი

შვეიცარიულმა თუნმა ქართველ ახალწვეულს საპატიო ნომერი გადასცა

## მარცვალაძე თოფს ისვრის: არსენალი



# შავი ზღვა ტრაპიზონში ღელავს

## ქართველებმა ოლიმპიადა მარცხით დაიწყეს

გუშინ ტრაპიზონში დაიწყო და 8 ივლისამდე გაგრძელდება შავი ზღვის ქვეყნების პირველი ოლიმპიური თამაშები. მონაწილე ათ ქვეყანას შორის საქართველოცაა, თან საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით — 180 ქართველი სპორტის ათ სახეობაში გამოვა.

გუშინ ოთხი სახეობა ჩათამაშდა და ქართველები ოთხივეში მონაწილეობდნენ — ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა და ფრენბურთელმა ქალებმა წააგეს. ველომრბოლმა ნოდარ ყვავაძემ კი ორეტაპიანი რბოლის პირველი ეტაპი მეშვიდე ადგილით დაასრულა.

დღეს საქმეში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები და მხატვრულად ტანმოვარჯიშეები ჩაერთვებიან.








# შავი ზღვის ოლიმპიადა შავი ზღვის ბენეფისით

## საქართველომ წაგებით დაიწყო

1st BLACK SEA GAMES
TRABZON 2007



ჰერბერტ ცანკერი

**თურქეთი 5:3 საქართველო**

**გოლები: კარადენიზი (4), თორუნი; შეყილაძე, გუგუჩია, ხურციძე**

**საქართველო: ნიორაძე, რიგვავა, კაჭკაჭიშვილი (მამულაძე), მირცხულავა, ახალბედაშვილი, გუგუჩია (ძალამიძე), მელიქიშვილი (ლორთქიფანიძე), შეყილაძე, ხურციძე, კაკუშაძე (შონია), კაჭახიძე (მეუნარგია)**

**მსაჯი: აუგუსტუსი (საბერძნეთი)**

**გუშინ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოლიმპიურ თამაშებში პირველი შეხვედრა ჩაატარა თურქეთის ნაკრებთან და 3:5 დამარცხდა. შეხვედრა „ავნი აქერის“ სტადიონზე გაიმართა.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. თუმც ქართველმა ჭაბუკებმა იმდენი მოახერხეს, რომ მეორე ტაიმში 1:4 ჩამორჩენა მინიმუმამდე (3:4) დაიყვანეს, ეგაა, ბოლომდე ველარ მიაწვნენ მეტოქეს და მეხუთე გოლიც გაუშვეს.

ხვალ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ალბანეთს გაეჯიბრება — მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის და აქედან გამომდინარე, ჰერბერტ ცანკერის გუნდის შანსი მცირეა.

საინტერესოა, რომ ჩვენებს ოთხი გოლი კარადენიზმა გაუტანა — კარადენიზი თურქულად შავ ზღვას ნიშნავს...

**ილია ნანობაშვილი**

# სპარტამ შეცვლა შეამცირა

## ამერის ბელხატუვი ჩეხეთშია

**ჩეხეთში** მოსამზადებლად მყოფი თბილისის „ამერი“ დღეს პრაღის ცნობილ „ლეტნას“ სტადიონზე გამბრინუს ლიგის ჩემპიონ „სპარტას“ შეხვდება. ეს ამხანაგური მატჩი, ჩვენი დროით, 19 საათზე დაიწყება და, როგორც გავიგეთ, მაყურებელიც საკმაო ეყოლება — „სპარტა“ ჩეხეთში და, დაგვეთანხმებით, ევროპაშიც ერთობ პოპულარული გუნდია, დღეს კი...

— ყველაფერი კარგადაა. გულმოდგინედ ვემზადებით და იგრძნობა, რომ გუნდი თამაშის ხარისხს ნელ-ნელა აუმჯობესებს. ჩეხეთში აქამდეც სერიოზული სპარინგ-მეტოქეები გვყავდა და მოსამზადებელი პერიოდის გათვალისწინებით, მათთან კარგად ვითამაშეთ — „კლადნოს“ 2:0 მოვუგეთ, „ლიბერეცთან“ კი 1:1 ვითამაშეთ. ახლა ჩეხეთის ჩემპიონი „სპარტა“ გველის, დარწმუნებული ვარ, საინტერესო მატჩი იქნება და ამ შეხვედრისას უკეთ გამოჩნდება, რა უფრო გვჭირდება — გვითხრა ბლშანიდან „ამერის“ კაპიტანმა *გიორგი დავითნიძემ* და მერე ორიოდ სიტყვა „ბელხატუვზეც“ გვითხრა. „ბელხატუვი“, გეცოდინებათ, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ამერის“ მეტოქეა...

— ვფიქრობ, „ბლეხატუვი“ საშუალო ევროპული დონის გუნდია, მაგალითად ისეთი, როგორიც ჩეხეთში „ლიბერეცი“, „სპარტა“ და „სლავიაა“. არა მგონია, უეფას თასის პირველი ეტაპის დაძლევა „ამერისთვის“ წარმოუდგენელი საქმე იყოს, „ამერმა“ თუ თავისი თამაში ითამაშა, „ბელხატუვს“ მოვუგებთ. მეტოქე თუ პოლონეთის მეორე პრიზიორია, ჩვენ მესამეზე გავედით და თან თასი შევინარჩუნეთ. მოკლედ, „ამერი“ — „ბელხატუვს“ შორის შანსები თანაბარია.

„ამერის“ მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ გუნდი „სპარტასთან“ მატჩის წინ საქვეყნოდ ცნობილ კურორტ კარლოვი ვარში ექსკურსიაზე წაიყვანა. ერთი ექსკურსია კი ბლშანში დაბინავებულ თბილისელებს პრაღაშიც დაუგეგმავთ. ოღონდ ეს „სლავიასთან“ მატჩის მეორე დღეს. სხვათა შორის, „სლავიასთან“ ჩვენებს სწორედ ბლშანში უნდა ეთამაშათ, მაგრამ მასპინძელთა თხოვნით, შეხვედრა პრაღაში დაინიშნა და კიდევ ერთი: ოღონდ ამჯერად „სპარტას“ ხელმძღვანელობის თხოვნით, „სპარტა“ — „ამერის“ ამხანაგურ შეხვედრაში სულ შვიდი შეცვლა გაკეთდება, არადა აქამდე ჩეხებიც და ჩვენებიც საწვრთნელ მატჩებს ორ-ორი შემადგენლობით ატარებდნენ ხოლმე. მასპინძელთაგან „ამერთან“ მატჩის ინტერესი აქედანაც ჩანს...

**კობა ინასარიძე**







„ლიბერეცი“ 1:1 „ამერი“

# ლოკომოტივი ზღვაზე მიდის

**დღეს** თბილისის „ლოკომოტივი“ ურეკში წავიდა ათდღიან შეკრებაზე. მანამდე კი ვაკელებმა ქუთაისის „ტორპედოდან“ ალექსანდრე ლალაძე დაიმატეს. ზღვისპირეთში თბილისელები ერთ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

როგორც „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, ამ შეკრების შემდეგ გუნდი თბილისში დაბრუნდება და ჩემპიონატისთვის დედაქალაქში მოემზადება.

რაც შეეხება პროფლიგაში წარსადგენ ფინანსურ გარანტიებს, კიკნაძის თქმით, ამის პრობლემა „ლოკომოტივს“ არ ექნება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბათუმელებს გუნდი დაეკარგათ

## რა დროს ახალია, როცა ძველიც გასასტუმრებელია

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში „ბათუმი“ ალბათ ველარ ითამაშებს.

მოგეხსენებათ, პროფესიული ფეხბურთის ლიგა მყარ ფინანსურ გარანტიებს ითხოვს და გუნდებს ბოლო ვადად ხვალინდელი დღეღა აქვთ. თუმცა რა სიმყარეზეა ლაპარაკი, როცა ბათუმში გუნდი საერთოდ არ შეკრებილა და ვერც ამბობენ, როდის მოახერხებენ ან მოახერხებენ თუ არა საერთოდ ამას.

გუშინ „ბათუმის“ გუნდის უფროსს თამაზ ცინარიძეს შევეხმიანეთ და საიმედო პასუხი ვერც მისგან მივიღეთ...

„გუნდი არ შეკრებილა. ძნელია, ამ სიტუაციაში ეს მოხერხდეს — მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის გასული სეზონის მაისის თვის ხელფასიც არ გაგვისტუმრებია და ახალზე რაღა გითხრათ? იმედს მაინც არ ვკარგავთ და ვნახოთ, რა იქნება“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ცხინვალი ცხინვალისკენ და უმაღლესისკენ მიიწევს

**ვინ** ითამაშებს და, საერთოდ, რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი ლიგა, ჯერ კიდევ საკითხავია. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მკაცრად გამოაცხადა, ვინც ფინანსურ გარანტიებს ვერ მოგვცემს, ნუ ეწყინებათ და უმაღლესს მიღმა დარჩებიანო.

და სხვათა გაჭირვების ფონზე, შეიძლება, „ცხინვალმა“ იხეიროს. დიახ, სამაჩაბლოური კლუბი უმაღლესს უმიზნებს. ამის თაობაზე „ცხინვალის“ კურატორმა, შიდა ქართლის რეგიონში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა მამაცაშვილმა ეს გვითხრა:

„მოლაპარაკება მიმდინარეობს პროფლიგასთან და ფედერაციასთან, რათა უმაღლესში ვითამაშოთ. ამ დღეებში საბოლოო პასუხს გვეტყვიან, მანამდე კი გუნდი ვარჯიშობს და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, უმაღლესი ლიგისთვის მზად ვართ“.

რით ისაზრდოებს კლუბი, ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმც მამაცაშვილმა გვითხრა, ბიზნესმენები მზად არიან, მათ შორის, რუსეთში მცხოვრებმა ოსმა ბიზნესმენებმაც გამოთქვეს „ცხინვალთან“ თანამშრომლობის სურვილიო.

„მთავარი ისაა, ცხინვალში მალე დავბრუნდეთ. ფეხბურთი მაინც სხვა სფეროა, სხვა ელფერია, ხალხთა შერიგების საუკეთესო საშუალებაა“.

ორი წლის წინ იყო, „ცხინვალი“ უმაღლეს ლიგაში რომ დაუშვეს. გუნდმა ადგილი შეინარჩუნა უმაღლესში, თუმც ფინანსების უქონლობის გამო ველარ გააგრძელა თამაში და რეგიონალლიგას დასჯერდა, სადაც მეოთხე ადგილი დაიკავა.

ამჟამად „ცხინვალი“ გორის „ქართლზე“ ვარჯიშობს და მამაცაშვილის თქმით, იქვე ჩაატარებს საშინაო მატჩებს...

„ჯერ ამ სტადიონზე ვითამაშებთ, სანამ ცხინვალში შევალთ“.

გუნდს გამოცდილი სერგო გაბელაია წვრთნის, რომელიც სულ რამდენიმე დღის დანიშნულია...

„რამდენიმე დღეში „ცხინვალი“ ბოლომდე დაკომპლექტდება, ახლა კი ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს ჩვენთან, ზოგს შეიძლება წასვლამ მოუწიოს და ჯერ ვერ გეტყვით ვერაფერს, ისე კი, საკმაოდ ნორმალურ გუნდს ვქმნით“ — გვითხრა გაბელაიამ.

**ილია ნანობაშვილი**

### შვედეთი

**ალსვენსკა. XII ტური**

აიკ 2:0 ტრელებორგი

ჰალმსტადი 3:0 ელფსბორგი

**სუპერეტა. XIII ტური**

იორგრიტე 2:2 სირიუსი

### ისლანდია

**პრემიერდივიზიონი IX ტური**

ფრამი 1:0 ბრეიდაბლიკი

ჰაფნარფიორდური 4:1 ვიკინგური

### ირლანდია

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

ბოჰემიანსი 3:2დ.დ. (2:2) კორკი

კობ რამბლერსი 1:2 დერი

შემროკი 1:0 ეთლონი

### ამხანაგური მატჩები

ოლბორგი 1:1 ოდენსე

გრასჰოპერი 0:1 შახტარი

აარაუ 3:3 კრინსი

ბაზელი 3:1 ზალცბურგი



# IASHVILI 10

## თუნმა სანდროს საპატიო მაისურა მისცა

**ახლა** უკვე შვეიცარიის „თუნის“ თავდამსხმელი სანდრო იაშვილი ახალ სეზონში საპატიო, 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. თუნელებმა ქართველ ფორვარდს მაისურა გუშინ გადასცეს და წარმატებებიც უსურვეს. დღეს კი ალბათ სანდროს დებიუტიც შედგება — „თუნი“ ამხანაგურად „ივერდონს“ ეთამაშება და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჩვენიანი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

სხვათა შორის, ვთქვით, რომ სანდრო იაშვილისთვის ეს პირველი მატჩი იქნება, რომელსაც უცხოურ გუნდში ითამაშებს. ადრე ის გლაზგოს „რეინჯერსში“ და სამარის „კრილია სოვეტოვში“ კი იყო და ამ გუნდებთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ მაშინ მას არ უთამაშია. მოკლედ, „თუნი“ სანდრო იაშვილისთვის პირველი უცხოური კლუბია.

შეგახსენებთ, „სარბიელისა“ და პროფლიგის გამოკითხვებით, წინა სეზონის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი თბილისის „დინამოდან“ შვეიცარიაში ორიოდ დღის წინ გაემგზავრა და ყოველგვარი გასინჯვისა და სხვა პრობლემების გარეშე „თუნთან“ გუშინწინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

თუნელებს ქართველი ფორვარდზე საკმაო ინფორმაცია ჰქონდათ და თბილისიდან შვეიცარიაში ჩასულს ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი დაახვედრეს. დანარჩენი კი ახლა უკვე თავად სანდრომ იცის, იმედია, „თუნი“ ამ უნიჭიერესი ფორვარდისთვის მხოლოდ ტრამპლინი იქნება და მომავალში უფრო სახელოვან გუნდებში ვნახავთ.

ისე, ახალწვეულისთვის 10-ნომრიანი მაისურა უკვე მართლაც რომ საქმეა...

**კობა ინასარიძე**

# ასტანა ქართველებს ქართველს ახვედრებს

## ოლიმპის მეტოქე გაბიდაურს იმატებს

**ჩემპიონთა** ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის“ მეტოქე, ყაზახური „ასტანა“ წლეულს ჩვეულად ვეღარ გამოიყურება. ყაზახეთის შარშანდელი ჩემპიონი პირველი წრის შემდეგ ოდენ მეცხრე ადგილზეა და თამაშიც უფერული გამოსდის, თუმც მალე გუნდის გაძლიერებას აპირებს.

რუსთაველებთან მატჩებამდე ყაზახურმა გუნდმა, შესაძლოა, ქართველი ფეხბურთელი დაიმატოს — ასტანელებმა თვალი ყარაგანდის „შახტიორის“ ნახევარმცველ გიორგი გაბიდაურს დაადგეს.

„შახტიორის“ ვებგვერდის ცნობით, „ასტანას“ გაბიდაურის გარდა ანდრეი ფოშჩი და სერგეი კოსტიუკიც სდომებია.

ორიოდ სიტყვა „შახტიორზეც“: გაუშვებს თუ არა ყარაგანდული გუნდი გაბიდაურს, უცნობია, თუმც ამ კლუბში, შესაძლოა, კიდევ ორი ქართველი ვიხილოთ. კლუბის ვებგვერდი იტყობინება, რომ „შახტიორი“ ორი ჩეხით და ორი ქართველით შეივსება. მართალია, ჯერ გვარებს არ ახმაურებენ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ერთი ქართველი თბილისის დინამოელი გიორგი ნერგაძე უნდა იყოს.

გეხსომებათ, გიორგი გაბიდაურის გარდა „შახტიორში“ ყოფილი დინამოელი ლევან მელქაძეც თამაშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველების ევროსაათები

## ოლიმპი ყაზახებს რუსთავში დაუხვდება

**გაირკვა** ქართული გუნდების საევროთასო მატჩების დაწყების დრო.

ჯერ მთავარი: საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ 17 ივლისს ყაზახურ „ასტანას“ შინაურ „ფოლადზე“ უმასპინძლებს. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ასე იქნება, ხოლო სად მიიღებს „ოლიმპი“ ნორვეგიულ „რუსენბორგს“ მეორე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, ჯერ უცნობია — დიდი შანსია, ეს მატჩიც რუსთავში ჩატარდეს...

„ოლიმპი“ — „ასტანა“ 18 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

უეფას თასზე 19 ივლისს „ბელხატუვი“ — „ამერი“, პოლონური დროით, 20.45 საათზე (ჩვენი დროით 22.45) დაიწყება, ამ გუნდების საპასუხო თბილისური შეხვედრა კი 2 აგვისტოს „მიხეილ მესხზე“ 18.45 საათზეა.

რაც შეეხება „დინამო“ — „ვადუცის“ საუეფასთასო მატჩს: თბილისში, 19 ივლისს, თამაში „მიხეილ მესხზე“ 18 საათზე დაიწყება.

**ილია ნანობაშვილი**

# შოთა არველაძე: რონალდ დე ბური აგენტი არ არის

**უცხოური** სააგენტოები უკვე თამამად ალაპარაკდნენ ქართველ თავდამსხმელ შოთა არველაძის ყატარის „ალ-შალამში“ გადასვლის თაობაზე. „ალ-შალამში“ არველაძის ყოფილი თანაგუნდელი რონალდ დე ბური თამაშობს და, როგორც ჰოლანდიური სააგენტოები წერენ, „ალკმაარის“ საუკეთესო ბომბარდირი ყატარში მისი მიწვევით მიდის.

„მე და დე ბური კარგი მეგობრები ვართ და ეს საქმე მას იმიტომ მიაწერეს. თუმცა რონალდი „ალ-შალამის“ ფეხბურთელია და სატრანსფერო საქმეები მის კომპეტენციაში არ შედის. ოფიციალური წინადადება ყატარული კლუბიდან არ მომსვლია. ეს ხმები მას შემდეგ აგორდა, რაც ჰოლანდიელ ჟურნალისტებთან საუბარში ვთქვი, არ არის გამორიცხული, კარიერის ბოლოს სპარსეთის ყურეში ვითამაშო-მეთქი. ამის შემდეგ ალაპარაკდნენ „ალკმაარიდან“ ჩემს წასვლაზე. ჯერჯერობით ისევ ჰოლანდიურ კლუბში ვარ“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა არველაძემ ყატარში მის სავარაუდო გადასვლას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ერცგებირგეს აუე-დან „პადერბორნში“ გადაბარგებულმა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა დავით სირაძემ ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და საქმეშიც ჩაერთო. ქვედალიგელ „მარიენლოხთან“ საკონტროლო მატჩში, რომელიც „პადერბორნმა“ 12:0 მოიგო, სირაძე მეორე ტაიმში შევიდა, გოლიც გაიტანა და ბოლოს ისეთი დრიბლინგიც მოაწყო, თანაგუნდელს გატანის მეტი რომ არაფერი დარჩენოდა. შოთა არველაძის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებში ცენტრფორვარდის დეფიციტია, კლაუს ტოპმიოლერის ერთ-ერთ საკვანძო თავდამსხმელად კი სადღეისოდ სირაძეც ითვლება. გუშინ სირაძეს გერმანიაში შევეხმიანეთ და ახალ გუნდსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...



# ახლა ჩვენი დროა

## სირაძე პადერბორნში კომფორტულად ჩაჯდა

— კარგად მიმიღეს, იგრძნობა, რომ „პადერბორნში“ თბილი ატმოსფეროა. ახლები ბლომად ვართ, მაგრამ არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობთ. ვარჯიშებიც საკმაოდ სერიოზულია. გერმანიაში რამდენიმე გუნდში მითამაშია, მაგრამ ამ მწვრთნელს, ჰოლგერ ფახს განსხვავებული ხედვა და ვარჯიშები აქვს.

— საკონტროლო მატჩიც ითამაშე, თუმც მხოლოდ მეორე ტაიმი...

— ფახმა შემადგენლობა გადაანაწილა და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ძირითადში არ ვითამაშებ. ისე კი, გუნდში სერიოზული კონკურენციაა და ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, ის ითამაშებს. ძირითადი ბირთვი საკონტროლო თამაშების შემდეგ გამოიკვეთება.

— გერმანული პრესა „პადერბორნს“ წლეულს ამბიციურ კლუბად თვლის...

— სეზონის წინ ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება. მეორე ბუნდესლიგა საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატია და რამდენიმე კარგი გუნდია. რომელიც უკეთ იქნება მომზადებული სეზონისთვის, სამეულშიც ის მოხვდება. ისე, „პადერბორნმა“ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი აიყვანა — ალექსანდრ ბადე, დუშან ძუშკოვიჩი, ნებოისა კრუპნიკოვიჩი, თომას კლასენერი, დუშკო ჯურიჩი... ყველას აქვს ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება. ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვიქნებით და რა მოხდება, ამას ჩემპიონატი გვიჩვენებს, მთავარია, შემადგენლობა კარგად შეთამაშდეს.

— შოთა არველაძის წასვლის შემდეგ ნაკრების თავდასხმის ხაზში პრობლემებია. კლაუს ტოპმიოლერს შოთას შემცვლელად რამდენიმე ფეხბურთელი შეუგულებია. ერთ-ერთი მათგანი კი შენ ხარ...

— შოთა ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია. ძნელია მისი შეცვლა, მაგრამ ეს გარდაუვალი პროცესია. არველაძემ თავისი სიტყვა თქვა ქართულ ფეხბურთში და ლამაზად წავიდა, ახლა კი დროა, სიტყვა ახალგაზრდებმაც ვთქვათ...

...მთლიანად ნაკრებს რაც შეეხება, ჩემი შეხედულებით, სწორი გზით მიდის. ტოპმიოლერისა და მინგეს მოსვლის შემდეგ ნაკრები უკეთესად თამაშობს. კარგი იქნება, თუ იღბალიც გაგვიღიმებს და დარჩენილ თამაშებში ტრავმები აღარ შეგვაწუხებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ოთარ მარცვალაძე კიევის „არსენალშია" და გადაწყვეტილია, რომ წლის ბოლომდე ამ გუნდში დარჩება.
22 წლის ფორვარდს კიევის „დინამოში" ვერა და ვერ აეწყო კარიერა, უკრაინული გრანდის თავდასხმაში ჯერ ისედაც დიდი კონკურენცია იყო და ამას მარცვალაძის ხანგრძლივი ტრავმაც დაემატა, რის შემდეგაც ცხადი გახდა — ჩვენიანი თუ „დინამოში" დარჩებოდა, დუბლების იქით ვერ წავიდოდა...

# მარცვალაძე თოფს გაისვრის

## კიევის დინამოდან კიევის არსენალში

„უკვე „არსენალში" ვვარჯიშობ და, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე აქ ვითამაშებ განათხოვრებით. იყო ლაპარაკი ჩემს გამოსყიდვაზეც, თუმც ამას არ ვნანობ. მთავარია, რომ სათამაშო პრაქტიკა მექნება" — გვითხრა გუშინ ოთარმა.

კიეველმა „მეთოფეებმა" უკრაინის ჩემპიონატის წინა სეზონი ყოჩაღად დაიწყეს, პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულეს, მაგრამ მერე კლუბში ფინანსური მდგომარეობა აირია და ბოლო ტურებში „არსენალმა" გასავარდნი ზონის შორიახლოსაც კი იტრიალა. ახლა კლუბს თანხა გამოუჩნდა, რაკილა ცნობილმა ბიზნესმენმა ვადიმ რაბინოვიჩმა შეიძინა.

„აქ გადმოსვლით კმაყოფილი ვარ, თანაც კიევში დავრჩი, ამ ქალაქს კი უკვე მივეჩვიე. რაც შეეხება კონკურენციას, „არსენალში" 5-6 თავდამსხმელია, მაგრამ ძირითადში უნდა დავმკვიდრდე. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული".

და კიდევ, გასული სეზონი კიევის „არსენალში" გაატარა ლაშა ჯაკობიამ, მაგრამ იგი გუნდთან ერთად არ არის და მარცვალაძემაც გვითხრა, აქ ლაშა ჯაკობიას აღარც ელიან, სხვაგან გააგრძელებს კარიერასო...

**ილია ნანობაშვილი**

# კვირკველიას მატჩნახევარი

**უკრაინის** ჩემპიონატის ახალი სეზონისთვის ემზადება ზაპოროჟიეს „მეტალურგიც". გუნდმა უკვე ორი ტესტ-მატჩი გამართა — სლოვაკურ „კოშიცესთან" 0:1 დამარცხდა, ლიტვურ „ვილნიუსთან" კი 1:1 ითამაშა.

ზაპოროჟიულ კლუბში ქართველთაგან მხოლოდ დავით კვირკველია დარჩა, ირაკლი მოდებაძე კი ახალი გუნდის ძიებაშია.

კვირკველიამ „კოშიცესთან" მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, „ვილნიუსთან" კი სრულად გაისარჯა. გამთანაბრებელი გოლი მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მის ფლანგურ გარღვევას და ზუსტ გადაცემას მოჰყვა.

სხვათა შორის, „მეტალურგი" ამ დროს მოედანზე ორკაცნაკლული თამაშობდა.

ვარჯიში დაიწყო კრივოი როგის „კრივბასმაც". ორი ქართველიდან გუნდს აქაც ერთი, ვასილ გიგიაძე შემორჩა, ვლადიმერ ბურდული კი, გეცოდინებათ, ლუგანსკის „ზარიაში" გადავიდა.



დავით კვირკველია

რაც შეეხება კიდევ ერთ ქართველს, კრივოიროგელთა მწვრთნელმა ოლეგ ტარანმა შოთა ბაბუნაშვილის სამსახურზე უარი განაცხადა და მანაც მარიუპოლის „ილიჩევეცს" მიაშურა.

„კრივბასი" მზადებას ყირიმში გადის და რამდენიმე ტესტ-მატჩს გეგმავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სპარტაკი ქართველს ვერ ელევა

**ნალჩიკის** „სპარტაკის" მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი გუნდში შეუცვლელია და მწვრთნელ იური კრასნოჟანის სადარდებელი ისაა, რომ ჩვენებურს ყაბარდოულ კლუბთან განათხოვრების ვადა ეწურება.



ამისულაშვილი კიევის „დინამოს" საკუთრებაა, მაგრამ უკრაინულ გუნდში მისი ადგილი არ მოიძებნა. შარშან ქართველი მცველი იაროსლავლის „შინიკში" გაანათხოვრეს, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა, წლეულს კი ასევე იჯარით „ნალჩიკშია".

ამისულაშვილის საიჯარო ვადა 31 ივლისს იწურება.

რუსული ვებგვერდების ცნობით, ყაზანური კლუბის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ ბალოვმა განაცხადა, რომ კლუბსაც და ფეხბურთელსაც თანამშრომლობის გაგრძელება სურთ, მაგრამ ყველაფერი კიევის „დინამოს" ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული და თუ შეთანხმებას მივაღწიეთ, ამისულაშვილს სეზონის ბოლომდე დავიტოვებთო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლაშა სალუქვაძეს უნგრეთში წაიყვანენ

## რევიშვილს ტრავმა გაუმიზეზდა

**ყაზახეთის** „რუბინის" ლაზარეთს ერთი ქართველი მოაკლდა. ლაშა სალუქვაძემ ტრავმა საფრანგეთი — საქართველოს მატჩისას მიიღო და მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში შეძლო თამაში მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ.

სალუქვაძე „რუბინს" უნგრეთშიც გაჰყვება და ევებ ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე ეტაპზე იქაური „ზალაეგერსეგის" წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც.

მეკარე ნუკრი რევიშვილი კი ისევ უქმობს. თითქოს მისი ტრავმა ასეთი სერიოზული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც თავად გვითხრა, ვარჯიში ნაადრევად განაახლა და ტრავმა გაუმიზეზდა.

ახლა ყაზანელთა მეკარე ისევ სარეაბილიტაციო კურსს გადის და როდის განაახლებს სრულყოფილ ვარჯიშს, ჯერჯერობით უცნობია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ექვსი თვე თავისუფლებამდე

## ჯაკობია თავს და მეტალისტს უფრთხილდება



**უკრაინის ჩემპიონატის წინა სეზონი ლაშა ჯაკობიასთვის კარგად დაიწყო — ხარკოვის „მეტალისტიდან" კიევის „არსენალში" განათხოვრებულმა თავდამსხმელმა საწყის 5 ტურში 2 გოლი გაიტანა, მაგრამ შემდეგ ტრავმამ კარგა ხნით ჩამოაშორა მოედანს და „არსენალს" მხოლოდ ბოლო ტურებში შეეშველა...**

ჯაკობია ჯერ ისევ „მეტალისტის" კუთვნილებაა და ხარკოვულ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ექვსი თვე აკავშირებს. გუნდის მწვრთნელ მირონ მარკევიჩთან გართულებულ ურთიერთობას ის მოჰყვა, რომ ჩვენებურს განათხოვრებით მოუწია სხვა გუნდში გადასვლა.

რა იქნება მომავალ სეზონში და სად ითამაშებს ჯაკობია?

„ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. „მეტალისტმა" კიდევ ორი წლით შემომთავაზა კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ ჩემთვის მიუღებელი პირობებია და არ დავთანხმდი. შემოთავაზებები სხვა გუნდებიდანაც მაქვს — იგივე „არსენალი", „ხარკოვი", „ზარია", „ჩერნომორეცი"... მაგრამ „მეტალისტი" არარეალურ თანხას ითხოვს და ფასზე ვერ მორიგდნენ, ექვსი თვის გამო ამ თანხის გადახდაზე გუნდები თავს იკავებენ" — გვითხრა ჯაკობიამ.

ჯაკობიას რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიც გამოსჩენია, თუმც, როგორც თვითონ გვითხრა, შესაძლოა, ეს მისთვის საზიანო გამოდგეს...

„ექვს თვეში თავისუფალი აგენტი ვიქნები და ნებისმიერ კლუბს შეუძლია, თავისუფლად ამიყვანოს. მქონდა შემოთავაზებები, წინასწარი კონტრაქტი გამეფორმებინა, მაგრამ ამას, შესაძლოა, „მეტალისტი" გაეღიზიანებინა და ამ ხნის მანძილზე არც სხვაგან გავეშვი და არც ვეთამაშებინე. ამის გამო შევიკავე თავი — ექვსი თვე უბურთოდ ვერ გავძლებ, ისედაც საკმაოდ გამიცდა" — ამბობს ლაშა.

გაცდენით კი ჯაკობიას მართლაც ბევრი გაუცდა. შარშანაც თითზე ჩამოსათვლელი მატჩები ითამაშა და ტრავმამ ნაკრებსაც ჩამოაშორა.

„კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრებში რამდენჯერმე დამიძახა, ერთ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც მომცა, ბოლოს საფრანგეთის წინააღმდეგ სათამაშოდაც ვიყავი გამოძახებული, მაგრამ... მერე ისე წამივიდა საქმე, ნაკრებში კი არა, კლუბში თამაშიც სანატრელი გამიხდა. სწორედ ეს არ მინდა, რომ განმეორდეს და ამიტომ ვფრთხილობ" — გვითხრა ლაშამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი





ხუან რომან რიკელმე

# რას გვიშვრება ეს მთავრობა!
## კრესპოს მუხლი პენალტმა შეიწირა

**C ჯგუფი. II ტური**

**არგენტინა 4:2 კოლუმბია**

0:1 ე. პერეა (10), 1:1 კრესპო (20), 2:1, 3:1 რიკელმე (34, 45), 3:2 კასტრილიონი (73), 4:2 დ. მილიტო (90)
არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გ. მილიტო, ჰაინცე, მასკერანო, კამბიასო, ხ. ვერონი (ლუჩო გონსალესი 80), რიკელმე, კრესპო (დ. მილიტო 21), მესი (ტევესი 46)
მწვრთნელი: ალფიო ბასილე
კოლუმბია: კალერო, ვალენსო, კორდობა, ლ. პერეა, არისალა, ფ. ვარგასი, ვიაფარა (კასტრილიონი 62), ბანგუერო, დ. ფერეირა (მ. ტორესი 76), როდალეგა, ე. პერეა (ჩიტივა 67)
მწვრთნელი: ხორხე ლუის პინტო
გაფრთხილება: გ. მილიტო, ლ. პერეა, არისალა, ვერონი, ვარგასი, ბანგუერო, ვარგასი
გაძევება: ვარგასი (90)
მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)
42 000 მაყურებელი

**ისევე**, როგორც აშშ-სთან მატჩში, არგენტინამ თავიდან გოლი გაუშვა და მერე ოთხი შეყარა.

ეს გამარჯვება ეგებ ძვირი დაუჯდეს ერნან კრესპოს, რადგან მუხლის მყესები დაიზიანა და შეიძლება, ტურნირზე ველარ ითამაშოს. „ინტერის“ ფორვარდმა მეოცე წუთზე პენალტი გაიტანა, დარტყმისას ფეხი იტკინა და შეცვალეს.

პენალტამდე კი კოლუმბიელი ედისონ პერეას გოლი იყო, რომელმაც დავიდ ფერეირას ჩაწოდებული ბურთი ქუსლით შეაგდო კარში. არგენტინელებს თამაშგარე ეგონათ და ამაოდ ედავებოდნენ მსაჯს.

მსაჯთან სადავო კოლუმბიელებსაც ჰქონდათ, როცა მათ კარში პენალტი დანიშნეს ლიონელ მესის წაქცევის გამო. „კოპაზე“ თამაში ისე არ ჩაივლის, რომ არბიტრი არ შეცდეს და არც ეს მატჩი იყო გამონაკლისი.

ზემოთვე ვთქვით კრესპოს გოლზე, რამაც არგენტინელები იმტაზე მოიყვანა. ხუან რომან რიკელმემ ხავიერ ძანეტის პასით თავით გაუტანა მიგელ კალეროს. ტაიმის მიწურულს რიკელმემ მეორეც მიაყოლა — საჯარიმო დარტყმით ბურთი მარჯვენა კუთხეში შეაბრძანა.

მეორე ნახევარში კოლუმბიელმა ხაიმე კასტრილიონმა სხვაობა შეამცირა და არგენტინელები აანერვიულა. კასტრინიოლმა რობერტო აიალას აჯობა და თავით გაიტანა.

თამაშის მიწურულს ფაბიან ვარგასი გააძევეს უხეშობისთვის, ხოლო კრესპოს ნაცვლად შესულმა დიეგო მილიტომ მეოთხე გოლი შეაგდო.

„ვფიქრობ, რომ მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ“ — თქვა დუბლის ავტორმა რიკელმემ, ხოლო გაძევებულმა ფაბიან ვარგასმა განაცხადა: „მსაჯს პენალტი არ უნდა დაენიშნა. ამით მან არგენტინას საქმე გაუიოლა“.

სტადიონზე კი ვენესუელელი გულშემატკივრები ისხდნენ, რომელთაც თამაში ნაკლებად აღელვებდათ და უგო ჩავესის გადადგომას ითხოვდნენ: „წაეთრიოს მთავრობა!“ და „თავისუფლება!“ — ისმოდა ტრიბუნებიდან.

**მაჟა ხუციშვილი**

# შეცდომაამ მეორეც წააგო



სალვადორ კაბანასის გოლი

**აშშ 1:3 პარაგვაი**

0:1 ბარეტო (30), 1:1 კლერკი (40), 1:2 კარდოზო (56), 1:3 კაბანასი (90)
აშშ: კელერი, მური, დე მერიტი (კალიფი 65), კონრადი, ბორნშტეინი, ფილზაბერი, ოლსენი (მეპი 71), კლერკი, კლიესტანი (ნგუიენი 81), ე. ჯონსონი, ტველმანი
მწვრთნელი: ბობ ბრედლი
პარაგვაი: ვილიარი (ბობადილა 56), დ. ვერონი, კასერესი, და სილვა, ბონეტი, მ. როდრიგესი, ე. ბარეტო, რივეროსი, სანტანა (ე. ვერა 77), სანტა კრუზი, ო. კარდოზო (ს. კაბანასი 73)
მწვრთნელი: ხერარდო მარტინო
გაფრთხილება: ფილზაბერი, რივეროსი
მსაჯი: ვიქტორ რივერა (პერუ)
35 000 მაყურებელი

**ჩვენი** ნაკრების მონაწილეობა „კოპა ამერიკაზე“ შეცდომააო, თქვა აშშ-ის ყოფილმა მწვრთნელმა ბრიუს არენამ არგენტინასთან პირველ ტურში წაგების შემდეგ და მისი ნათქვამი მართლდება. კონკაკაფის ოქროს თასის მომგებმა ამერიკელებმა ექსპერიმენტული შემადგენლობა ჩაიყვანეს ვენესუელაში და მეორე შეხვედრაშიც დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, მეოთხედფინალში გასვლის თეორიულ შანსს მაინც ინარჩუნებენ.

ნახევარი საათის თავზე პარაგვაი ედგარ ბარეტომ დააწინაურა. ჯონათან სანტანამ მეტოქის დაცვა საუცხოო პასით გაჭრა და კეისი კელერს შეახვედრა ბარეტო, რომელმაც ბურთი კარში შეასრიალა.

ათი წუთის შემდეგ ამერიკელმა რიკარდო კლერკმა საჯარიმოს ხაზიდან უძლიერესად დაარტყა და ხუსტო ვილიარს გაუტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ვილიარი დაშავდა და ალდო ბობადილამ შეცვალა, რომელიც „ბოკა ხუნიორსის“ სათადარიგო მეკარეა. შეცვლიდან რამდენიმე წამში პარაგვაი ისევ დაწინაურდა. ამერიკელი მცველის უკან პასი ოსკარ კარდოზომ ჩაჭრა და კელერს მეორედ გამოატანინა ბურთი ბადიდან.

ბენ ოლსენმა პარაგვაელთა კარის ჩარჩოს გაარტყა ბურთი, მერე კი ბობადილამ სამი დარტყმა მოიგერია — ჯერ კლერკს აულო შორიდან გასროლილი, ხოლო ტველმანს და ჯონსონს თავურები არ გაატანინა.

მატჩის მიწურულს სალვადორ კაბანასმა მესამე გოლი შეაგდო. ისევე, როგორც პირველ ტაიმში კოლუმბიასთან, კაბანასი შეცვლაზე შევიდა და ტურნირზე მეორე გოლი მიითვალა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| კოლუმბია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

III ტური, 5 ივლისი

**კოლუმბია — აშშ**

**არგენტინა — პარაგვაი**

# კაკა არ იყიდება!



პრედრაგ მიატოვიჩს ადრიანო გალიანიმ შეუტია

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კიდევ ერთხელ შეუთვალა „რეალს“ — კაკა დაივიწყეთ, არ იყიდება და მისი შეძენის არანაირი შანსი არ გაქვთო.

თუ რამდენი ხანი, რატომ და როგორ უნდა მადრიდულ კლუბს და მის პრეზიდენტ რამონ კალდერონს ბრაზილიელი ვარსკვლავის შეძენა, აღარ შეგახსენებთ. ეს ისეთი მოძველებული თემაა, ყველაფერი კარგად გეცოდინებათ.

ის კი აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ახლახან ესპანურ პრესაში გავრცელდა ცნობები, კაკა „როსონერის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის ელაპარაკა და უთხრა — „რეალში“ თამაში ჩემი ოცნებაა, „მილანთან“ ერთად უკვე ყველაფერი მოვიგე და გამიშვიო...

ადრიანო გალიანი: „მინდა, „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს იმის გარანტია მივცე, რომ კაკა 23 ივლისს მილანელოს ბაზაზე იქნება და გუნდთან ერთად მომავალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს. 31 აგვისტოს იგი მონაკოში ევროპის სუპერთასზე ითამაშებს „სევილიას“ წინააღმდეგ, ხოლო დეკემბერში, იაპონიაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას“.

გავრცელებული ინფორმაციით, „რეალი“ მზად არის, 25 წლის პლეიმეიკერში 85 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ ეს თავად კალდერონმაც უარყო, თუმცა აღნიშნა, კაკასთვის ბრძოლას ვაგრძელებთო.

„ჩვენ არ დავნებდებით, მაგრამ ვიცით, რომ „მილანი“ საქმეს არ გაგვიადვილებს. მზად ვართ, ამ ტრანსფერს დიდი ფული დავახარჯოთ, მაგრამ 85 მილიონი ევრო ცოტა გადაჭარბებულია“ — თქვა კალდერონმა.

**გიორგი ძაძამიძე**

# რა კარგია რომა და რა საოცარია მილანი

## სანტა კრუზი იტალიაზე არც დაფიქრდება

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ფორვარდ როკე სანტა კრუზს გუნდის გამოცვლა და კარიერის იტალიაში გაგრძელება სურს. პარაგვაელის ეს განცხადება მოჰყვა „ბაიერნის“ ხელმძღვანელობის სიტყვებს — სანტა კრუზი აღარ გვჭირდებაო.

მოგეხსენებათ, „ბაიერნმა“ ლუკა ტონი, მიროსლავ კლოზე და იან შლაუდრაფი იყიდა. ასე რომ, სანტა კრუზს, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ისედაც უჭირდა, ახლა კიდევ უფრო მცირე შანსი ექნება და, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იგი გუნდს დატოვებს.

„ახალ კლუბს ვეძებ, რადგან „ბაიერნში“ დარჩენა აღარ მინდა. მიუნხენელებთან კონტრაქტის ამოწურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ მისი გაბათილების უფლება მაქვს. მითხრეს, რომ ჩემით ორი ინგლისური კლუბია დაინტერესებული და ისინი მზად არიან, საინტერესო წინადადება შემომთავაზონ, თუმცა მე იტალიაში თამაში მინდა. ძალიან მომწონს ფრანჩესკო ტოტის „რომა“. ეს ჩემთვის იდეალური კლუბია. თუ მათ არ დავაინტერესებ, „მილანიც“ კარგი ვარიანტი იქნება. რონალდოს გვერდით თამაშით საოცარია. ამ კლუბებიდან რომელიმემ კონტრაქტი რომ შემომთავაზოს, ხელს ახლავე მოვაწერ“ — განაცხადა სანტა კრუზმა, რომელიც ახლა ეროვნულ ნაკრებთან ერთადაა „კოპა ამერიკაზე“.



**კოკი ძანძელაძე**

# პირველი ნაწილი: გარსია ატლეტიკოში, მეორე ნაწილი: ტორესი ლივერპულში ყველაფერი მოგვარებულია

**როგორც** მოსალოდნელი იყო, რეაქტიული შემტევი ნახევარმცველი ლუის გარსია მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა. „ვისენტე კალდერონის“ ბინადრებმა ეს ინფორმაცია გუშინ დაადასტურეს, მას მერე, რაც „ბარსელონას“ აღზრდილმა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.

იგი უკვე პრესასაც წარუდგინეს. კონტრაქტი სამწლიანია.

29 წლის ლუის გარსიას წინა სეზონის მეორე ნახევარი ტრავმის გამო, ფაქტობრივად, მთლიანად გაუცდა. „ატლეტიკოში“ იგი, სავარაუდოდ, შეძლებს ძალების ბოლომდე აღდგენას და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. პრიმერადივიზიონში თამაში კი მას ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების მეტ შანსსაც მისცემს.

თავის მხრივ, ამ ტრანსფერმა გზა გაუხსნა ფერნანდო ტორესის „ატლეტიკოდან“ „ლივერპულში“ გადასვლას.

მოკლედ, გაცვლა მაინც შედგა.

**კოკი ძანძელაძე**

# იუვემ მილიტოზე ხელი ჩაიქნია



## ქალბატონს ახალი მცველი უნდა: ანდრადე, სამუელი ან კორდობა

**ტურინის** „იუვენტუსი“ და ესპანური „სარაგოსა“ გაბრიელ მილიტოს ფასზე ვერაფრით თანხმდებიან და, როგორც ჩანს, ეს სავარაუდო ტრანსფერი, რომელზეც რა ხანია, მითქმა-მოთქმა მიდის, აღარ შედგება.

„ბიანკონერის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „სერიოზული სხვაობაა იმ თანხას შორის, რომელსაც „სარაგოსა“ ითხოვს და იმას შორის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ. თუ ესპანური კლუბი კომპრომისზე არ წამოვა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. „იუვენტუსის“ ბიუჯეტს თავისი ლიმიტი აქვს. ამ ტრანსფერის მიმართ უკვე პესიმისტურად ვარ განწყობილი. ასე რომ, ალტერნატიულ ვარიანტებზე უნდა გადავერთოთ“.

„სარაგოსას“ 26 წლის არგენტინელის ნაცვლად „იუვე“ ლა კორუნიის „დეპორტივოს“ 29 წლის პორტუგალიელ მცველ ჟორჟე ანდრადეზე გადაერთო. იგი ტურინელებს 9-10 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

ანდრადესთან მოლაპარაკებები შეიძლება გაააადვილოს იმ ფაქტმაც, რომ იგი ფეხბურთელთა იმ სააგენტოს წევრია, რომელსაც ჟორჟე მენდეში ფლობს. ჟორჟე მენდეში კი ტიაგუ მენდეშის წარმომადგენელია, რომელიც ახლახან გადავიდა „ლიონიდან“ „ბებერ ქალბატონში“.

გავრცელებული ცნობით, ალტერნატიულ ვარიანტებად „იუვენტუსი“ „ინტერის“ მცველებს — ვალტერ სამუელსა და ივან კორდობასაც განიხილავს.

**გიორგი ძაძამიძე**

## არ გვინდა თქვენი ბულარუზი

„მარკას“ ცნობით, „ჩელსიმ“ „სევილიას“ დანიელ ალვესში 23 მილიონი ევრო და ხალიდ ბულარუზი შესთავაზა.

დიდი ხანია, ლონდონურ კლუბს ბრაზილიელი მარჯვენა მცველის გადაბირება სურს და ამ საქმეს ოფიციალური სახე გუშინ მისცა.

„სევილია“ კი 25 მილიონს ითხოვს და ბულარუზი არ უნდა.

## არსენალის მეორე დინამო

**ზაგრების** „დინამოდან“ „არსენალში“ გადასული ედუარდო და სილვა კვირაში 28 ათას გირვანქას მიიღებს — წერს „სანი“.

„მეთოფეებს“ კიდევ ერთი დინამოელი ფეხბურთელის, ნახევარმცველ ოგნენ ვუკოევიჩის გადაბირება სურთ, რომლის თამაშიც „არსენალის“ სკაუტებს „რაპიდისა“ და „დინამოს“ მატჩისას მოსწონებიათ.

## რიო ვილიარეალში

„**ლე პარიზიენის**“ ცნობით, „ბორდოს“ ნახევარმცველი რიო მავუბა „ვილიარეალში“ გადავა და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 23 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი ესპანურ კლუბს 8 მილიონი ევრო დაუჯდება.

მავუბას ყიდვა „მანჩესტერს“, „არსენალსა“ და „იუვენტუსსაც“ უნდოდათ, მაგრამ მან „ვილიარეალი“ არჩია.

## ლამეი ზებრაა

**პსვ-ს** მცველი მიხაელ ლამეი „დუისბურგმა“ იყიდა. 27 წლის ფეხბურთელმა „ზებრებთან“ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ეს უკვე მერვე შენაძენია ბუნდესლიგური გუნდისა, რომელსაც რუდი ბომერი წვრთნის. ლამეიმდე „დუისბურგში“ მაიკონი, ფერნანდუ სანტუში, კრისტიან ტიფერტი, ალექსანდრ მეიერი, მანასე იშიაკუ, ტომი შტარკე და მარსელ ჰერციგი მივიდნენ.

## მამამ შვილი დაიბრალა

**ორმხრივი** შეთანხმების საფუძველზე, ბერლინის „ჰერტამ“ დირკ ვან ბურიკთან კონტრაქტი გაწყვიტა. ამის შესახებ კლუბმა ოფიციალურად გუშინ განაცხადა.

იგი „ჰერტაში“ 1997 წელს გადავიდა და ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო. ვან ბურიკს და კლუბს ურთიერთობა იმის გამო წაუხდათ, რომ მოთამაშის მამამ შვილსა და გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის აგენტობა „დაიბრალა“.

## დე რიდერის ბირმინგემი

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი დანიელ დე რიდერი „ბირმინგემში“ გადავიდა. მას ვიგოს „სელტასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ინგლისურ კლუბს მუქთად ერგო.

დე რიდერმა სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და პრემიერლიგაში დაბრუნებული გუნდის მეხუთე შენაძენია. ჰოლანდიელამდე „ბირმინგემმა“ ფაბრის მუამბა, სტიუარტ პარნაბი, გარი ოკონორი და ოლივიე კაპო იყიდა.

## კივუს რეალმა ჩააკითხა

„**ბარსელონასა**“ და „ინტერს“ შორის მოწანწალე კრისტიან კივუს ახლა მადრიდის „რეალის“ ვარიანტი გამოუჩნდა და შეიძლება, „სამეფო კლუბში“ გადავიდეს.

თითქმის ერთი თვეა, „რომას“ რუმინელი მცველი ხან „ინტერში“ გადაჰყავდათ, ხან „ბარსელონაში“ და ეგებ ახლა მაინც ეშველოს. „რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი გუშინ რომში ჩავიდა ტრანსფერის მოსაგვარებლად.

სავარუდოდ, მადრიდულ კლუბს გარიგება დაახლოებით 18 მილიონი ევრო დაუჯდება.

## კინმა მორგანი გაახარა

„**უდინეზეს**“ მეკარეს მორგან დე სანქტისს „სანდერლენდი“ ეპატიჟება, რომელსაც როი კინი წვრთნის.

დე სანქტისი „უდინეზეში“ „იუვენტუსიდან“ 1999 წელს გადავიდა და 200-მდე მატჩი ითამაშა.

„ყოველთვის მსურდა ინგლისში თამაში და მიხარია, რომ „სანდერლენდი“ ჩემით დაინტერესდა“ — თქვა 30 წლის მეკარემ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# უკანა კარი ღიაა

**ინგლისის** ნაკრების ყოფილ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს სამსახური ესპანურმა „რეკრეატივო უელვამ" შესთავაზა — ლა ლიგის მეათე გუნდმა სეზონის ბოლოს გარსია ტორალი დაითხოვა და უელველებმაც ვაკანსიის შევსება შვედი სპეციალისტით გადაწყვიტეს.

და როგორი იქნება ერიკსონის პასუხი? აქ, მოგეხსენებათ, საქმე ცოტა ჩაიხლართა, რადგან შვედს „მანჩესტერ სიტის" ახალი მეპატრონე, ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტაქსინ შინავატრა სთავაზობს სამსახურს. ტაქსინი და ერიკსონი, როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, სამწლიან თანამშრომლობაზე (7,5 მილიონ გირვანქად) შეთანხმებულნიც არიან, მაგრამ იურიდიულად ჯერ არაფერია გაფორმებული. მიზეზი: შინავატრა ერიკსონის კონტრაქტის გაფორმებას მას მერე აპირებდა, რაც „მანჩესტერ სიტის" აქციათა 75 პროცენტს დაეპატრონებოდა, მაგრამ რამდენადაც ცნობილი გახდა, ორშაბათ საღამოს, ყოფილმა პრემიერმა ნადავლი 70 პროცენტამდე ასწია, მეტი კი ვეღარ შეძლო.

და მაინც, საეჭვოა, ერიკსონი „მანჩესტერ სიტის" ოფისის უკანა კარიდან გაიპაროს, მით უფრო, რომ ტაქსინი ახალი ფეხბურთელების საყიდლად პირველსავე ჯერზე 50 მილიონის გაღებას აპირებს და, უპირველეს ყოვლისა, 10 მილიონად „ჩელსიდან" შონ რაიტ-ფილიპსის დაბრუნებას აპირებს.

ამბობენ, რომ „სიტი" „ბოლტონის" გმირს, ფრანგ ნიკოლა ანელკასაც გარშემო უვლისო.

**ბაჩუნა ძიდია**

# ეტოომ დარჩენისა დალია



**ტიერი ანრის** „ბარსელონაში" გადასვლის შემდეგ, ბევრი ამბობს, კატალონიელები თავდასხმაში ყველა ვარსკვლავს ვერ შეინარჩუნებენ და რომელიმესთან განშორება მოუწევთო. აქცენტი ძირითადად რონალდინიოსა და სამუელ ეტოოზე კეთდება, რადგან ლიონელ მესი ხელშეუხებელია. ორივე მათგანით „მილანია" დაინტერესებული.

ერთი შეხედვით, „კამპ ნოუდან" ეტოოს წასვლა უფრო რეალურია, მაგრამ კამერუნელმა კიდევ ერთხელ გამორიცხა ეს და რონალდინიოს სახელითაც ილაპარაკა.

— „მილანის" პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის რონალდინიოს შეძენა უნდა, მწვრთნელ კარლო ანჩელოტის კი ჩემი ყიდვა ურჩევნია. თუმცა ჩემი და სანახევროდ რონალდინიოს სახელითაც გეტყვით, რომ არც ერთი ჩვენგანი „ბარსას" დატოვებას არ ვაპირებთ" — განაცხადა ეტოომ.

კამერუნელი მიესალმება მისი მეგობრის, ტიერი ანრის ტრანსფერსაც და კონკურენციის არ ეშინია.

**გიორგი ძაძაბაძე**

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

| |
|---|
| A ჯგუფი. I ტური |
| კონგო 1:1 ავსტრია |
| C ჯგუფი. I ტური |
| პორტუგალია 2:0 ახალი ზელანდია |
| გამბია 0:3 მექსიკა |

# მალუდას მალულად არაფერი გაუკეთებია

**ფრანგული** „ლიონის" ნახევარმცველ ფლორენ მალუდას გული რომ „ჩელსისკენ" მიუწევს, არაახალია. მას მტკიცედ აქვს „ლომების" დატოვება გადაწყვეტილი და ამის შესახებ ხელმძღვანელობას კარგა ხნის წინ აცნობა. მალუდას თქმით, მან უკვე შეათანხმა ლონდონელებთან პირადი კონტრაქტის დეტალები და ახლა ელის, როდის დასრულდება მოლაპარაკება კლუბებს შორის.



„გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში „ლიონში" აღარ ვიქნები. კლუბის უფროსობასა და მწვრთნელ ალენ პერენს უკვე ვაცნობე ამის შესახებ. ჩვენს შორის არანაირი უთანხმოება არ არის. პირადად მე „ჩელსისთან" უკვე შევათანხმე კონტრაქტის პირობები. დაახლოებით ერთი თვეა, კლუბებს შორის მოლაპარაკება მიდის და იმედია, ისინი, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდებიან. „ლიონი" ვარჯიშს 9 ივლისს განაახლებს, მაგრამ მე გუნდთან ერთად არ ვიქნები. ეს უკვე ყველამ იცის და ვიმეორებ, ჩვენს შორის კონფლიქტი არ არის" — აღნიშნა მალუდამ.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველს „ჩელსის" გარდა, სხვა კლუბებსაც უკავშირებდნენ, მათ შორის „ლივერპულსაც". იგი მოლაპარაკებას მერსისაიდელთა მწვრთნელ რაფაელ ბენიტესთანაც აწარმოებდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ლონდონელებზე შეაჩერა.

ფლორენ მალუდა: „ჩელსის" არჩევა მხოლოდ ამ კლუბის სიძლიერითა და ამბიციურობით არ იყო განპირობებული. არც მარტო იმით, რომ ლონდონელთა რიგებში დიდიე დროგბა თამაშობს. მნიშვნელოვანი როლი ჟოზე მაურინიომ ითამაშა. მას ველაპარაკე და გამიგო. მასთან ლაპარაკის უფლება „ლიონისგან" მქონდა. ვესაუბრე რაფაელ ბენიტესსაც, მაგრამ შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია".

„ჩვენ მას ხელს არ შევუშლით და უპრობლემოდ გავუშვებთ, თუ „ლიონის" პირობებს დააკმაყოფილებენ და მალუდას მსურველები სათანადო წინადადებას შემოგვთავაზებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გუნდში დარჩება" — თქვა „ლომების" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ნეტავ რა არის ჭკვიანური?
## გაცოფებული მაურინიოს ანდაზა

**ინგლისური** „სანისთვის" ცნობილი გახდა, რომ გუშინ „ბარსელონას" „ჩელსის" ოფისში ფრენკ ლამპარდის თაობაზე უნდა გაეგზავნა ოფიციალური მოთხოვნა. საუბარია 12 მილიონ გირვანქაზე, რომელსაც კატალონიელები ლონდონელებს ნახევარმცველის სანაცვლოდ სთავაზობენ. იმავდროულად, ყოვლისმცოდნე გაზეთი გვარწმუნებს, რომ ლონდონელები ბარსელონელებს შაბლონურ პასუხს გასცემენ: ფრენკ ლამპარდი არ იყიდება. არ არის გამორიცხული, მხარეებმა მომავალ კვირაში შეხვედრა დათქვან, თუმცა რას მოიტანს ეს შეხვედრა, ამწუთას უცნობია. ცნობილია ის, რომ ლამპარდი ვარჯიშს მომავალი კვირიდან უნდა შეუდგეს.



ბოლო დღეებია, ევროპული პრესა ინტენსიურად წერს იმის თაობაზე, რომ ლონდონელთა კლუბის მეპატრონემ, რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა, რომელიც ლამპარდისა და „ჩელსის" კაპიტნის, ჯონ ტერის კონტრაქტების გახანგრძლივების ამბავს აქამდე შორიდან ადევნებდა თვალს, ახლა ვადა დათქვა, ერთ კვირაში ორივეს ახალ ხელშეკრულებაზე ჰქონდეს ხელი მოწერილიო, თუმცა ბარსელონელები თავისას მაინც ცდიან.

ესპანური კლუბის ერთ-ერთმა დიდმოხელემ „სანს" ასეთი რამ განუცხადა: „კარგად ვიცით, რომ მოლაპარაკებები ძალიან რთული იქნება, ჩვენი პოზიცია ნათელია. „ბარსელონას" მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ფრენკ ლამპარდის თავის გუნდში ხილვა სურს და ახლა საქმე კლუბის დირექტორთა მარიფათზეა. ინგლისელი ნახევარმცველის გადასაბირებლად საკმარისი თანხა და საშუალებანი მათ უნდა გამონახონ. და კიდევ, სანამ თავად ლამპარდი არ იტყვის ბოლო სიტყვას, გადაწყვეტილი არაფერი იქნება, ასე რომ, დასკვნების გაკეთება საჩქარო არ არის".

„ჩელსიდან" კიდევ ერთი, კამერუნელი ჯერემი წავიდა, გუშინწინ ის „ნიუკასლს" შეუერთდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაფერი, რაც ლონდონური კლუბის თავს ტრიალებს, საკუთრივ „ჩელსიშიც" არ არის საყოველთაოდ მოწონებული — მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ დაიჩივლა, გუნდის გასაძლიერებლად თურმე ფულს არ მაძლევდნენ და არ ვიცოდიო.

„ჩემთვის დირექტორატის ერთ წევრსაც კი არ უთქვამს, ჟოზე, შენ თუ ვინმეს დაიმატებ, აუცილებლად თავისუფალი აგენტი უნდა იყოს, თორემ კარგი ფეხბურთელის ყიდვისთვის კაპიკი არ გვაქვსო. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ თავისუფალი აგენტების ყიდვა ჭკვიანური ბიზნესი არ არის, ჭკვიანური კარგი ფეხბურთელების ყიდვაა" — თქვა მაურინიომ.

**ბაჩუნა ძიდია**

# ჯერემი გააკაჭკაჭეს

**სემ ალარდაისი** „ნიუკასლის" გაძლიერებას აგრძელებს. ჯერემი ნჯიტაპი ამ ზაფხულს „კაჭკაჭების" მეოთხე ახალი ფეხბურთელია მარკ ვიდუკას, ჯოი ბარტონისა და დავიდ როზენალის შემდეგ.



„ჯერემიმ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და შეათანხმა ჩვენთან პირადი კონტრაქტის დეტალები. იგი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადმოდის და მაშინვე გააფორმებს სამწლიან კონტრაქტს, როგორც კი ინგლისში მუშაობის უფლებას ისევ დაუმტკიცებენ" — განაცხადა „ნიუკასლის" წარმომადგენელმა.

28 წლის კამერუნელი ნახევარმცველი „ჩელსიში" 2003 წლიდან თამაშობდა. მან ამ პერიოდში ლონდონელთა რიგებში 72 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ბოლო პერიოდში საერთოდ ვეღარ ხვდებოდა „ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში და მხარეებმა განშორება გადაწყვიტეს. „ბოლტონის" ექსთავკაცი ალარდაისიც „იქვე იყო" და ჯერემი არავის დაუთმო.

**კოკი ძანდელაძე**

# ოქროს ვარსკვლავი





## 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, არგენტინელი მარიო კემპესი

# დღეს ხომ გაიპარსავ, მარიო?

— ბატონო კემპეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე საუბრები, ალბათ, ბავშვობიდან გესმით...

— როდესაც ფეხბურთელი ხდები და რომელიმე კლუბში იწყებ თამაშს, იმწუთასვე ჩნდება ნაკრებში მოხვედრისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის ოცნებაც. მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატიდან რადიორეპორტაჟებს პირველად 1966 წელს ვუსმენდი. თან მშობლებს ჩვენი სახლის მშენებლობაში ვეხმარებოდი და თან რადიოს ვუსმენდი. მაშინ ტელევიზორი არ გვქონდა, მაგრამ გამიმართლა, პირველივე რადიორეპორტაჟი, რომელიც ცხოვრებაში მოვისმინე, ხოსე მარია მუნიოსს მიჰყავდა. სწორედ მაშინ ვიგრძენი პირველად, რას ნიშნავს მსოფლიოს ჩემპიონატი.

— და მაინც, რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჩემპიონატი?

— ის უმნიშვნელოვანესია. მსოფლიოს თასი გახლავთ ჯილდო, რომლის მოგება ყველას უნდა, მაგრამ იღბალმა ცოტას გაგვიღიმა. მერედა, მე ორმაგად გამიმართლა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულთან ერთად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელობისთვის „ოქროს ბურთი", საუკეთესო ბომბარდირობისთვის კი „ოქროს ბუცი" მივიღე. მერედა, მსოფლიოს ჩემპიონი ცალკე აღებული სეზონივით არის. ის მწვრთნელებისთვისაც ურთულესი რამ გახლავთ, ოთხწლიანი კოშმარული შრომაა. გუნდის შესარჩევი შეჯიბრებიდან გაყვანა უძნელესი საქმეა, რადგან გზად წარმოუდგენელი სირთულეები იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ გნებავთ მწვრთნელისთვის და გნებავთ ფეხბურთელისთვის, საკუთრივ მუნდიალზე მოხვედრა და იქ გამოსვლა, საოცარი ბედნიერებაა.

— პირველად თქვენ 1974 წლის ჩემპიონატში მიიღეთ მონაწილეობა. რა შემორჩა იმ შეჯიბრებიდან მეხსიერებას?

— უპირველესად ის მახსოვს, რომ საოცრად გამოუცდელი ვიყავი. მაშინ არგენტინის პირველი დივიზიონის გუნდ „როსარიო სენტრალში" გახლდით ახალი მისული. ნაკრებში პირველი შოკი ევროპაში მოთამაშე არგენტინელ ლეგიონერებთან შეხვედრამ დამცა. მე წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყვნენ ისინი. მე მხოლოდ მათ ვიცნობდი, ვინც სამშობლოში თამაშობდა და ამდენად, სხვებთან შედარებით უფრო ხამად გახლდით. მერე, დრო რომ გავიდა და ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ, ყველაფერი მოგვარდა, ბევრს დავუმეგობრდი, მაგრამ ეს ყველაფერი მსოფლიოს ჩემპიონატზე ხდებოდა.

— 1978 წელს კი მეტწილად სხვა ხალხთან ერთად მოგიხდათ თამაში...

— მართლაც. თუ არ ვცდები, ჩემს გარდა ძველებიდან უბალდო ფილოლი და რენე ჰუსემანილა იყვნენ. მას მერე, რაც ნაკრები ლუის სესარ მენოტიმ ჩაიბარა, გუნდში უდიდესი ცვლილებები მოხდა. თან, არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია მიხვდა, რომ ყველაფერს ოთხი წლის განმავლობაში ერთი მწვრთნელის დატოვება აჯობებდა. მოკლედ, მენოტის უთხრეს, რომ ოთხი წლიწადი ხელს არავინ ახლებდა და თუ საქმე ცუდად წაუვიდოდა, მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეცვლიდნენ. აი, ამ დამოკიდებულებამ არგენტინული ფეხბურთი აღმასვლის გზაზე დააყენა. მახსოვს, ნაკრებში მოჰყავდათ ადგილობრივი ბიჭები კორდობადან, როსარიოდან, სანტა ფედან, ბუენოს აირესიდან... მენოტიმ დიდებული გუნდი შექმნა, რომელმაც ტრიუმფისკენ პირველი ნაბიჯები სწორედ შემადგენლობის შერჩევით გადადგა.

— მაშინდელ არგენტინის ნაკრებში ლეგიონერები მართლაც ცოტანი იყვნენ. ერთი მათგანი თქვენ ბრძანდებოდით, თუმცა საუკეთესო ბომბარდირობისთვის უკვე ორი ჯილდო გქონდათ მიღებული...

— დიახ, ესპანეთში.

— ალბათ, ეს ჯილდოები საკუთარი თავის რწმენით გავსებდათ...

— იცით, საკუთარ შესაძლებლობებში ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რადგან ერთსულოვანი გუნდი გვყავდა და ეს ერთსულოვნების გრძნობა მოქმედებდა. მაგალითად, 1978 წელს, მე ნაკრებს, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შევუერთდი. არგენტინაში 8 მაისს ჩავფრინდი, ჩემპიონატი კი 2 ივნისს დაიწყო. ჩემგან განსხვავებით, ჩემი თანაგუნდელები თებერვლიდან ერთად ვარჯიშობდნენ, მაგრამ ჩავედი თუ არა, ისე მიმიღეს, გეგონება, ის სამი თვე მეც მათთან ერთად მქონოდა გატარებული. იმ გუნდს არ ახასიათებდა ეგოიზმი, ამპარტავნობა, ერთმანეთის დასაბეზღებლად მწვრთნელთან არავინ გარბოდა. მერედა, მწვრთნელიც ყველასთვის ღია იყო და საკუთარი ცხოვრების მართვაც ყველას თავად, თავის ნებაზე შეეძლო. არავინ არავის უშლიდა ადრე დაძინებას ან გვიანობამდე ტელევიზორის ყურებას. 1978 წლის არგენტინის ნაკრებს არანაირი მკაცრი შინაგანაწესით არ მართავდნენ.

— მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე თქვენ თავი ვერ გამოიჩინეთ. რა იყო მიზეზი?

— იცით, მართალია, გოლი პირადად ვერ შევაგდე, მაგრამ სხვების გოლებში მივიღე დიდი მონაწილეობა. მე კარში ვურტყამდი, ბურთი ხან ძელს ხვდებოდა, ხან მეტოქის ფეხს, იქიდან ასხლეტილი კი ჩემს თანაგუნდელებს უვარდებოდათ. მერედა, ჩემი წაქცევისთვის ბევრი ჯარიმა დაინიშნა და იმ ჯარიმებიდან უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ერთი სიტყვით, ის, რომ გოლი არ მქონდა გატანილი, არ მთრგუნავდა. პირიქით, ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ ყოველ მომდევნო შეხვედრას უკეთ და უკეთ ვატარებდით, მაგრამ აი, მერე იტალიასთან დავმარცხდით და როსარიოში მოგვიხდა გადაბარგება. ეს ბედი იყო. მე აღმოვჩნდი სტადიონზე, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ოღონდ, ის მთლიანად გადაკეთებული იყო.

— მეორე ეტაპზე კი პირველი მატჩი პოლონეთთან გქონდათ და არგენტინის ნაკრებმა ის თქვენი ორი გოლით მოიგო. ალბათ, დიდი ტვირთი მოგეხსნათ მხრებიდან...

— რასაკვირველია. ბოლოს და ბოლოს, გავიტანე. თან, თავით გოლების გატანის ოსტატი არასდროს ვყოფილვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი პირველი გოლი კი სწორედ თავურით შევაგდე. იან ტომაშევსკი იცავდა პოლონელების კარს. სხვათა შორის, ამ მატჩამდე ოთხი წლით ადრე, ჩვენ პოლონელებს გერმანიაში, ამხანაგურ მატჩში შევხვდით. მაშინ მოედანზე გვიან შემიშვეს, მაგრამ რომ შევედი, საჯარიმოში სრულიად უმეთვალყურეოდ დავრჩი და ამით ვერ ვისარგებლე. ხომ ხედავთ, ადამიანმა არასდროს იცი, როდის და როგორ მოგეცემა ანგარიშსწორების საშუალება.

— მერე იყო 0:0 ბრაზილიასთან. რა დაგამახსოვრდათ ამ სამხრეთამერიკული დერბიდან?

— ეს იყო ტიპიური არგენტინა — ბრაზილია, რომელიც ძალიან მაღალ ტემპში ჩატარდა და უამრავი ინციდენტით იყო სავსე. ფეხბურთი? ამ თამაშში ფეხბურთი ნამდვილად არ იყო ბევრი და ამიტომაც დამთავრდა 0:0. აი, ამის შემდეგ იყო მატჩი პერუს ნაკრებთან.

— ბევრმა უცხოელმა მიმომხილველმა, არგენტინისა და პერუს ნაკრებთა იმ შეხვედრას, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური უწოდა. თქვენ რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?

— იმავე ადამიანებს სამი თვით ადრე რომ ენახათ, როგორ მოვუგეთ პერუელებს 3:0, მერწმუნეთ, ამ 6:0-ს აღარ გაიკვირვებდნენ. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე პერუმ მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ მეორე ეტაპზე, ეს ის გუნდი აშკარად აღარ იყო. თან, ჩვენ ზუსტად გვქონდა ამოცანა დასახული. კარგად ვიცოდით, რომ თუ 4:0-ს მოვიგებდით, ფინალში გავიდოდით. ისიც ვიცოდით, რომ ჩვენმა კონკურენტმა ბრაზილიამ თავისი ბოლო თამაში მოიგო. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ გვქონდა.

ისე კი, რას გეტყვით, იცით? იმ თამაშში არგენტინას რვა რომ ჰქონოდა გასატანი, რვას გაიტანდა. მთავარი ის გახლდათ, რომ იმ დღეს ჩვენ უფრო გვშიოდა. აქ იმასაც არ აქვს მნიშვნელობა, ვის უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდა, მთავარია, რომ ჩვენ ვიცოდით, რა და როგორ გვჭირდებოდა. მოგვიანებით ათასი სისულელე ითქვა და თან, ეს სისულელეები ცხელ გულზე რომ თქმულიყო, კიდევ გავიგებდი, მაგრამ ბევრმა ჭორაობა ორი წლის შემდეგ დაიწყო.

— მენოტიმ თქვენს ულვაშზე გვიამბო სახალისო რამ...

— ჩვენ იმ ჩემპიონატის დღეებში ისეთი დაკავებულები ვიყავით, რომ ყოველდღე წვერის საპარსად ნამდვილად არ გვეცალა. ჰოდა, სამ კვირაში კარგა გაბურძგნული წვერულვაშით ვიყავი. პირველი ორი თამაში სწორედ ასე ჩავატარე, მესამეს წინ კი წვერი გავიპარსე და ულვაში დავიტოვე. იმ თამაშის შემდეგ ავტობუსში ვისხედით და როსარიოში გადაბარგებაზე ვფიქრობდით, როდესაც მწვრთნელი მომიტრიალდა და მითხრა: მარიო, გაიპარსე ეგ ულვაშიც, იქნებ ბედი შეგეცვალოს. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატამდე მენოტი ვალენსიაში ჩამოვიდა და მნახა, რომ ესპანეთის პირველობაზე სუფთად გაპარსული გამოვდიოდი. „ესპანეთში გაპარსული თამაშობ და გოლები გაგაქვს. იქნებ როსარიოშიც გაიპარსო და გოლები შეაგდო?" — მითხრა მენოტიმ. ჰოდა, არ ვიცი, იღბლიანი დამთხვევა იყო თუ რა, მაგრამ ფაქტია, ულვაში რომ გავიპარსე, პოლონეთის ნაკრებს ორი გოლი შევუგდე. მას მერე ბედი მართლაც შეიცვალა და მწვრთნელიც ყოველ დილას მეუბნებოდა: მარიო, დღეს ხომ აპირებ პირის გაპარსვას? აი, ასეთი ცნობილი ისტორიაა ჩემს გოლებსა და ულვაშთან დაკავშირებით.

— და აი, მივადექით თქვენს უდიდეს წარმატებას, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონობას. მოდით, ფინალი გავიხსენოთ...

— მე და დანიელ პასარელა იმ ჩემპიონატის თამაშებს ტელევიზორში ერთად ვუყურებდით და ვიცოდით, რომ რენე ვან დერ კერკჰოფი შეხვეული მაჯით თამაშობდა. ფინალის წინ, როდესაც მეტოქეები ცენტრში შეგროვდით და მსაჯს წილი უნდა ეყარა, დანიელმა მას უთხრა, რომ ვან დერ კერკჰოფი მოედანზე თაბაშირით იყო გასული და ვინმეს დაშავება შეეძლო. ვან დერ კერკჰოფმა თაბაშირი იუარა, ჩვეულებრივი სახვევია, ჩემს ნატკენ მაჯას დაცვა სჭირდებაო. დანიელი არ მოეშვა და ასე, დაახლოებით ნახევარ საათს კამათობდნენ, რის მერეც მსაჯებმა ჰოლანდიელს სახვევის მოხსნა სთხოვეს, გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ, მართლა თაბაშირი ედო თუ არა. გაირკვა, რომ ვან დერ კერკჰოფის სახვევში სახიფათო არაფერი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, დავიწყეთ თამაში.

კარგად მახსოვს, მოედანზე დაფენილი, არგენტინისთვის ტიპიური ქაღალდის ვიწრო რულონები და ეროვნული ჰიმნები. მერე კი თამაში გახურდა, ხოლო როდესაც თამაში ხურდება, მანამდე რაც იყო, ყველაფერს ივიწყებ.

თავიდან ძალიან გაგვიჭირდა, ვინაიდან ჰოლანდიელები, ჯონი რეპი იქნებოდა თუ რობ რენსენბრინკი, იოლად მოარღვევდნენ ჩვენი დაცვის რიგებს. „ელ პატო" (იხვი) ფილოლმა ოთხი ისეთი ბურთი მოიგერია, რომელთაგან ორი იოლად შეიძლებოდა კარში შესულიყო, მაგრამ მერე გავიდა დრო, ჩვენ ჩვენებურად ავთამაშდით და პირველი გოლი შევაგდე. ამის შემდეგ პედლიდან ფეხი აღარ აგვიღია, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე შვიდი თუ რვა წუთით ადრე, დიკ ნანინგამ ანგარიში გაგვითანაბრა, მერე კი რენსენბრინკს ჰქონდა ის ცნობილი ეპიზოდი, ბურთი ძელს რომ გაარტყა.

— დამატებით დროში თქვენ და ბერტონიმ კიდევ თითო გაიტანეთ. თამაში რომ დამთავრდა, საგანგებო ზეიმი მოაწყვეთ?

— იცით, არგენტინაში, როგორც სანაკრებო, ასევე საკლუბო დონეზე, გამარჯვების შემდეგ გულშემატკივართა მოედანზე გადასვლა ძილებული რამ არის, ასე რომ, მაშინ, ისევე, როგორც ყოველთვის, საკმაოდ სახიფათო ზეიმი გაიმართა. ხომ გესმით, რატომ ვერ ვახერხებთ არგენტინელები ევროპელებივით თასის აღმართვას და საპატიო წრის შემოვლას. მსოფლიოს ჩემპიონები რომ გავხდით, მე საპატიო წრე ვერ შემოვირბინე, თუმცა, სხვათა შორის, მგონი, ფილოლმა, პასარელამ და კიდევ ერთმა თუ ორმა, ეს მაინც მოახერხა. მოედანზე გადაადგილება ჭირდა, იმდენი ხალხი იყო. მერე გასახდელში შევედით, გამოვიცვალეთ და საზეიმო სადილზე გავემართეთ.

— ბერტონიმ და ტარანტინიმ პასარელაზე გვიამბეს სახალისო ისტორია...

— თასი რომ ჩაბღუჯა და ხელს არ უშვებდა? ფეხბურთსაც სულ იდაყვის ქნევით თამაშობდა და თასსაც რომ ჩაჰკიდა ხელი, ახლოს არ მიგვაკარა, იდაყვებს იქნევდა და თავიდან გვიცილებდა. კიდევ, ბერტონი, ლაროსა და რამდენიმე სხვა არ გვიშვებდნენ თასთან ახლოს. მოკლედ, მე ამ თასს სტადიონზე კი არა, საზეიმო ბანკეტზეც ვერ მივეკარე. არ ვიცი, ვიღაცამ სადღაც გადამალა, თუ რა იყო, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, რომ არც მაინტერესებდა. მთავარი იყო, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით...

# გერმანიის ბუნდესლიგა 2007-2008



ბუნდესლიგა შარშან „შტუტგარტმა" მოიგო

## 2007 წელი

**1-ლი ტური, 10-11 აგვისტო**

შტუტგარტი : შალკე
ბაიერნი : ჰანზა
ლევერკუზენი : კოტბუსი
ნიურნბერგი : კარლსრუე
ბოხუმი : ვერდერი
დორტმუნდი : დუისბურგი
ჰანოვერი : ჰამბურგი
აინტრახტი : ჰერტა
ვოლფსბურგი : არმინია

**მე-2 ტური, 18 აგვისტო**

შალკე : დორტმუნდი
ვერდერი : ბაიერნი
ჰამბურგი : ლევერკუზენი
ჰერტა : შტუტგარტი
არმინია : აინტრახტი
კოტბუსი : ბოხუმი
კარლსრუე : ჰანოვერი
ჰანზა : ნიურნბერგი
დუისბურგი : ვოლფსბურგი

**მე-3 ტური, 25 აგვისტო**

შტუტგარტი : დუისბურგი
ბაიერნი : ჰანოვერი
ლევერკუზენი : კარლსრუე
ნიურნბერგი : ვერდერი
ბოხუმი : ჰამბურგი
დორტმუნდი : კოტბუსი
არმინია : ჰერტა
აინტრახტი : ჰანზა
ვოლფსბურგი : შალკე

**მე-4 ტური, 1 სექტემბერი**

შალკე : ლევერკუზენი
ვერდერი : აინტრახტი
ჰამბურგი : ბაიერნი
ჰერტა : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : ბოხუმი
კოტბუსი : ნიურნბერგი
კარლსრუე : შტუტგარტი
ჰანზა : დორტმუნდი
დუისბურგი : არმინია

**მე-5 ტური, 15 სექტემბერი**

შტუტგარტი : კოტბუსი
ბაიერნი : შალკე
ლევერკუზენი : ბოხუმი
ნიურნბერგი : ჰანოვერი
დორტმუნდი : ვერდერი
არმინია : ჰანზა
აინტრახტი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : კარლსრუე
დუისბურგი : ჰერტა

**მე-6 ტური, 22 სექტემბერი**

შალკე : არმინია
ვერდერი : შტუტგარტი
ჰამბურგი : ნიურნბერგი
ბოხუმი : აინტრახტი
ჰერტა : დორტმუნდი
ჰანოვერი : ლევერკუზენი
კოტბუსი : ვოლფსბურგი
კარლსრუე : ბაიერნი
ჰანზა : დუისბურგი

**მე-7 ტური, 26 სექტემბერი**

შტუტგარტი : ბოხუმი
ბაიერნი : კოტბუსი
ნიურნბერგი : ლევერკუზენი
დორტმუნდი : ჰამბურგი
ჰერტა : ჰანზა
არმინია : ჰანოვერი
აინტრახტი : კარლსრუე
ვოლფსბურგი : ვერდერი
დუისბურგი : შალკე

**მე-8 ტური, 29 სექტემბერი**

შალკე : ჰერტა
ვერდერი : არმინია
ლევერკუზენი : ბაიერნი
ჰამბურგი : ვოლფსბურგი
ბოხუმი : ნიურნბერგი
ჰანოვერი : დუისბურგი
კოტბუსი : აინტრახტი
კარლსრუე : დორტმუნდი
ჰანზა : შტუტგარტი

**მე-9 ტური, 6 ოქტომბერი**

შტუტგარტი : ჰანოვერი
შალკე : კარლსრუე
ბაიერნი : ნიურნბერგი
დორტმუნდი : ბოხუმი
ჰერტა : კოტბუსი
არმინია : ჰამბურგი
აინტრახტი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰანზა
დუისბურგი : ვერდერი

**მე-10 ტური, 20 ოქტომბერი**

ვერდერი : ჰერტა
ლევერკუზენი : დორტმუნდი
ნიურნბერგი : აინტრახტი
ჰამბურგი : შტუტგარტი
ბოხუმი : ბაიერნი
ჰანოვერი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : დუისბურგი
კარლსრუე : არმინია
ჰანზა : შალკე

**მე-11 ტური, 27 ოქტომბერი**

შტუტგარტი : ლევერკუზენი
შალკე : ვერდერი
დორტმუნდი : ბაიერნი
ჰერტა : ბოხუმი
არმინია : კოტბუსი
აინტრახტი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : ნიურნბერგი
ჰანზა : კარლსრუე
დუისბურგი : ჰამბურგი

**მე-12 ტური, 3 ნოემბერი**

ვერდერი : ჰანზა
ბაიერნი : აინტრახტი
ლევერკუზენი : არმინია
ნიურნბერგი : შტუტგარტი
ჰამბურგი : ჰერტა
ბოხუმი : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : დორტმუნდი
კოტბუსი : შალკე
კარლსრუე : დუისბურგი

**მე-13 ტური, 10 ნოემბერი**

შტუტგარტი : ბაიერნი
შალკე : ჰამბურგი
ვერდერი : კარლსრუე
დორტმუნდი : აინტრახტი
ჰერტა : ჰანოვერი
არმინია : ნიურნბერგი
ვოლფსბურგი : ლევერკუზენი
ჰანზა : კოტბუსი
დუისბურგი : ბოხუმი

**მე-14 ტური, 24 ნოემბერი**

ბაიერნი : ვოლფსბურგი
ლევერკუზენი : დუისბურგი
ნიურნბერგი : დორტმუნდი
ჰამბურგი : ჰანზა
ბოხუმი : არმინია
ჰანოვერი : შალკე
კოტბუსი : ვერდერი
აინტრახტი : შტუტგარტი
კარლსრუე : ჰერტა

**მე-15 ტური, 1 დეკემბერი**

შტუტგარტი : დორტმუნდი
შალკე : ბოხუმი
ვერდერი : ჰამბურგი
ჰერტა : ლევერკუზენი
არმინია : ბაიერნი
კოტბუსი : კარლსრუე
ვოლფსბურგი : აინტრახტი
ჰანზა : ჰანოვერი
დუისბურგი : ნიურნბერგი

**მე-16 ტური, 8 დეკემბერი**

შტუტგარტი : ვოლფსბურგი
ბაიერნი : დუისბურგი
ლევერკუზენი : ჰანზა
ნიურნბერგი : ჰერტა
ჰამბურგი : კოტბუსი
ბოხუმი : კარლსრუე
დორტმუნდი : არმინია
ჰანოვერი : ვერდერი
აინტრახტი : შალკე

**მე-17 ტური, 15 დეკემბერი**

შალკე : ნიურნბერგი
ვერდერი : ლევერკუზენი
ჰერტა : ბაიერნი
არმინია : შტუტგარტი
კოტბუსი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
კარლსრუე : ჰამბურგი
ჰანზა : ბოხუმი

## 2008 წელი

**მე-18 ტური, 2 თებერვალი**

შალკე : შტუტგარტი
ჰანზა : ბაიერნი
კოტბუსი : ლევერკუზენი
კარლსრუე : ნიურნბერგი
ვერდერი : ბოხუმი
დუისბურგი : დორტმუნდი
ჰამბურგი : ჰანოვერი
ჰერტა : აინტრახტი
არმინია : ვოლფსბურგი

**მე-19 ტური, 9 თებერვალი**

დორტმუნდი : შალკე
ბაიერნი : ვერდერი
ლევერკუზენი : ჰამბურგი
შტუტგარტი : ჰერტა
აინტრახტი : არმინია
ბოხუმი : კოტბუსი
ჰანოვერი : კარლსრუე
ნიურნბერგი : ჰანზა
ვოლფსბურგი : დუისბურგი

**მე-20 ტური, 16 თებერვალი**

დუისბურგი : შტუტგარტი
ჰანოვერი : ბაიერნი
კარლსრუე : ლევერკუზენი
ვერდერი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : ბოხუმი
კოტბუსი : დორტმუნდი
ჰერტა : არმინია
ჰანზა : აინტრახტი
შალკე : ვოლფსბურგი

**21-ე ტური, 23 თებერვალი**

ლევერკუზენი : შალკე
აინტრახტი : ვერდერი
ბაიერნი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : ჰერტა
ბოხუმი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : კოტბუსი
შტუტგარტი : კარლსრუე
დორტმუნდი : ჰანზა
არმინია : დუისბურგი

**22-ე ტური, 1 მარტი**

კოტბუსი : შტუტგარტი
შალკე : ბაიერნი
ბოხუმი : ლევერკუზენი
ჰანოვერი : ნიურნბერგი
ვერდერი : დორტმუნდი
ჰანზა : არმინია
ჰამბურგი : აინტრახტი
კარლსრუე : ვოლფსბურგი
ჰერტა : დუისბურგი

**23-ე ტური, 8 მარტი**

არმინია : შალკე
შტუტგარტი : ვერდერი
ნიურნბერგი : ჰამბურგი
აინტრახტი : ბოხუმი
დორტმუნდი : ჰერტა
ლევერკუზენი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : კოტბუსი
ბაიერნი : კარლსრუე
დუისბურგი : ჰანზა

**24-ე ტური, 15 მარტი**

ბოხუმი : შტუტგარტი
კოტბუსი : ბაიერნი
ლევერკუზენი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : დორტმუნდი
ჰანზა : ჰერტა
ჰანოვერი : არმინია
კარლსრუე : აინტრახტი
ვერდერი : ვოლფსბურგი
შალკე : დუისბურგი

**25-ე ტური, 22 მარტი**

ჰერტა : შალკე
არმინია : ვერდერი
ბაიერნი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰამბურგი
ნიურნბერგი : ბოხუმი
დუისბურგი : ჰანოვერი
აინტრახტი : კოტბუსი
დორტმუნდი : კარლსრუე
შტუტგარტი : ჰანზა

**26-ე ტური, 29 მარტი**

ჰანოვერი : შტუტგარტი
კარლსრუე : შალკე
ნიურნბერგი : ბაიერნი
ბოხუმი : დორტმუნდი
კოტბუსი : ჰერტა
ჰამბურგი : არმინია
ლევერკუზენი : აინტრახტი
ჰანზა : ვოლფსბურგი
ვერდერი : დუისბურგი

**27-ე ტური, 5 აპრილი**

ჰერტა : ვერდერი
დორტმუნდი : ლევერკუზენი
აინტრახტი : ნიურნბერგი
შტუტგარტი : ჰამბურგი
ბაიერნი : ბოხუმი
ვოლფსბურგი : ჰანოვერი
დუისბურგი : კოტბუსი
არმინია : კარლსრუე
შალკე : ჰანზა

**28-ე ტური, 12 აპრილი**

ლევერკუზენი : შტუტგარტი
ვერდერი : შალკე
ბაიერნი : დორტმუნდი
ბოხუმი : ჰერტა
კოტბუსი : არმინია
ჰანოვერი : აინტრახტი
ნიურნბერგი : ვოლფსბურგი
კარლსრუე : ჰანზა
ჰამბურგი : დუისბურგი

**29-ე ტური, 16 აპრილი**

ჰანზა : ვერდერი
აინტრახტი : ბაიერნი
არმინია : ლევერკუზენი
შტუტგარტი : ნიურნბერგი
ჰერტა : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : ბოხუმი
დორტმუნდი : ჰანოვერი
შალკე : კოტბუსი
დუისბურგი : კარლსრუე

**30-ე ტური, 26 აპრილი**

ბაიერნი : შტუტგარტი
ჰამბურგი : შალკე
კარლსრუე : ვერდერი
აინტრახტი : დორტმუნდი
ჰანოვერი : ჰერტა
ნიურნბერგი : არმინია
ლევერკუზენი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : ჰანზა
ბოხუმი : დუისბურგი

**31-ე ტური, 3 მაისი**

ვოლფსბურგი : ბაიერნი
დუისბურგი : ლევერკუზენი
დორტმუნდი : ნიურნბერგი
ჰანზა : ჰამბურგი
არმინია : ბოხუმი
შალკე : ჰანოვერი
ვერდერი : კოტბუსი
შტუტგარტი : აინტრახტი
ჰერტა : კარლსრუე

**32-ე ტური, 7 მაისი**

დორტმუნდი : შტუტგარტი
ბოხუმი : შალკე
ჰამბურგი : ვერდერი
ლევერკუზენი : ჰერტა
ბაიერნი : არმინია
კარლსრუე : კოტბუსი
აინტრახტი : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : ჰანზა
ნიურნბერგი : დუისბურგი

**33-ე ტური, 10 მაისი**

ვოლფსბურგი : შტუტგარტი
დუისბურგი : ბაიერნი
ჰანზა : ლევერკუზენი
ჰერტა : ნიურნბერგი
კოტბუსი : ჰამბურგი
კარლსრუე : ბოხუმი
არმინია : დორტმუნდი
ვერდერი : ჰანოვერი
შალკე : აინტრახტი

**34-ე ტური, 17 მაისი**

ნიურნბერგი : შალკე
ლევერკუზენი : ვერდერი
ბაიერნი : ჰერტა
შტუტგარტი : არმინია
ჰანოვერი : კოტბუსი
დორტმუნდი : ვოლფსბურგი
ჰამბურგი : კარლსრუე
ბოხუმი : ჰანზა
აინტრახტი : დუისბურგი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა 4 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 7 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 4 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 15 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | ფინეთი 4 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 23 | ჰონკა-ტურკუ | 2.20 | 3.20 | 2.65 | 1.30 | 1.20 | 1.44 |
| | | ისლანდია 4 ივლისი | | | | | | |
| 23:15 | 30 | ფილკირი-რეიკიავიკი | 1.65 | 3.20 | 4.00 | 1.08 | 1.16 | 1.77 |
| 23:15 | 31 | კოპავოგური-ვალური | 2.90 | 3.10 | 2.00 | 1.49 | 1.18 | 1.21 |
| 23:45 | 32 | აკრანესი-კეფლავიკი | 2.25 | 3.10 | 2.65 | 1.30 | 1.21 | 1.42 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აშშ 4 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 42 | კანზასი-ვაშინგტონი | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 43 | დალასი-ჩივასი | 1.80 | 3.10 | 3.65 | 1.13 | 1.20 | 1.67 |
| 23:45 | 44 | კოლორადო-კოლამბუსი | 2.05 | 3.00 | 3.10 | 1.21 | 1.23 | 1.52 |
| 23:45 | 45 | სოლტ ლეიკ-ტორონტო | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| 23:45 | 46 | ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 2.05 | 3.00 | 3.10 | 1.21 | 1.23 | 1.52 |
| | | 5 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 47 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| | | ბრაზილია 4 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 53 | ატლეტიკო მგ-ფლამენგო | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 23:00 | 54 | სპორტ რისაიფი-კორინთიანსი | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| 23:00 | 55 | ვასკუ და გამა-სანტოსი | 2.00 | 3.10 | 3.00 | 1.21 | 1.20 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მსოფლიო ჩემპიონატი (20) კანადა 4 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 85 | კოსტა რიკა 20-იაპონია 20 | 3.20 | 3.10 | 1.85 | 1.57 | 1.17 | 1.15 |
| 23:45 | 86 | ურუგვაი 20-იორდანია 20 | 1.22 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.04 | 2.73 |
| 23:45 | 87 | შოტლანდია 20-ნიგერია 20 | 3.00 | 3.10 | 1.90 | 1.52 | 1.16 | 1.17 |
| 23:45 | 88 | ზამბია 20-ესპანეთი 20 | 6.50 | 3.80 | 1.30 | 2.39 | 1.08 | 1.00 |
| | | შვედეთი. თასი. 5 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 109 | გოტებორგი-გეფლე | 1.65 | 3.30 | 4.00 | 1.10 | 1.16 | 1.80 |
| | | ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა). 4 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 115 | მექსიკა-ჩილე | 2.15 | 3.10 | 2.70 | 1.26 | 1.19 | 1.44 |
| 23:45 | 116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.22 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 2.85 |
| | | 5 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 117 | კოლუმბია-აშშ | 2.05 | 3.20 | 2.90 | 1.24 | 1.20 | 1.52 |
| 23:45 | 118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.45 | 3.40 | 5.75 | 1.01 | 1.15 | 2.13 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.50 | 2.00 | 3.20 | 1.11 | 1.40 | 1.23 |
| 10015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 2.95 | 2.00 | 2.60 | 1.19 | 1.38 | 1.13 |
| 10023 | ჰონკა-ტურკუ | 2.50 | 2.10 | 2.95 | 1.14 | 1.35 | 1.22 |
| 10115 | მექსიკა-ჩილე | 2.55 | 2.00 | 3.15 | 1.12 | 1.40 | 1.22 |
| 10116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.45 | 2.50 | 7.50 | 1.00 | 1.21 | 1.87 |
| 10117 | კოლუმბია-აშშ | 2.35 | 2.00 | 3.35 | 1.08 | 1.38 | 1.25 |
| 10118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.75 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.32 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11023 | ჰონკა-ტურკუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11115 | მექსიკა-ჩილე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11117 | კოლუმბია-აშშ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ჰონკა-ტურკუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | მექსიკა-ჩილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15117 | კოლუმბია-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.52 | 2.20 |
| 16015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 1.85 | 1.80 |
| 16023 | ჰონკა-ტურკუ | 1.55 | 2.20 |
| 16115 | მექსიკა-ჩილე | 1.52 | 2.20 |
| 16116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.02 | 6.70 |
| 16117 | კოლუმბია-აშშ | 1.45 | 2.45 |
| 16118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.12 | 4.60 |

### გოლი: წყვილი-1, კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ჰონკა-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17115 | მექსიკა-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17117 | კოლუმბია-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.80 | 1.60 |
| 12015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 1.80 | 1.60 |
| 12023 | ჰონკა-ტურკუ | 1.80 | 1.60 |
| 12115 | მექსიკა-ჩილე | 1.60 | 1.80 |
| 12116 | ბრაზილია-ეკვადორი | 2.00 | 1.45 |
| 12117 | კოლუმბია-აშშ | 1.90 | 1.55 |
| 12118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.90 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13115 | მექსიკა-ჩილე | 1.60 | 1.80 |
| 13116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.60 | 1.80 |
| 13117 | კოლუმბია-აშშ | 1.60 | 1.80 |
| 13118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.60 | 1.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14007 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 1.75 | 2.10 |
| 14015 | ბანკეფლო-სუნდსვალი | 2.00 | 1.80 |
| 14023 | ჰონკა-ტურკუ | 1.80 | 2.00 |
| 14115 | მექსიკა-ჩილე | 1.75 | 2.10 |
| 14116 | ბრაზილია-ეკვადორი | 1.08 | 2.90 |
| 14117 | კოლუმბია-აშშ | 1.75 | 2.10 |
| 14118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.20 | 2.60 |

კრივი



# პაკიაომ ბარერა გაიხსენა

**მენი პაკიაოს,** როგორც იქნა გამოუძებნეს ვარსკვლავური მეტოქე. თითქმის ერთწლიანი უქმობის შემდეგ ფილიპინელს სერიოზული ჯახი ელის.

6 ოქტომბერს ლას ვეგასში პაკიაო მატჩ-რევანშს გამართავს სამ წონით კატეგორიაში ექს-ჩემპიონ მექსიკელ მარკო ანტონიო ბარერასთან.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს მათი პირველი ჩხუბის დროს პაკიაომ ბარერა დაანოკაუტა.

# 10 ნოემბრის მეივეზერი-ჰატონი

**უკანასკნელი წლების** უდავოდ საუკეთესო მოკრივე, პროფესიულ რინგზე ჯერაც დაუმარცხებელი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი მაინც უბრუნდება რინგს. ორიოდ თვის წინ ოსკარ დე ლა ჰოიას დამარცხების შემდეგ კრივიდან თითქოს წასულ ჩემპიონს უკან ბრიტანელ რიკი ჰატონით იტყუებენ და როგორც ჩანს, წარმატებულადაც, რადგანაც უკვე ბრძოლის გამართვის ადგილსა და სავარაუდო თარიღს ასახელებენ — წესით ეს ჩხუბი 10 ნოემბერს ლას-ვეგასში უნდა გაიმართოს.

ერთადერთი დამბრკოლებელი ფაქტორი მოკრივეთა საპრიზო ფონდია. მაგრამ კრივის მოყვარულთა ამ ბრძოლისადმი დაინტერესებას თუ გავითვალისწინებთ, ეს საკმაოდ იოლად გადასალახი პრობლემა უნდა აღმოჩნდეს.

# ჯონსის ჰორიზონტზე ტრინიდადი გამოჩნდა

**დაბრუნებების დრო** დამდგარა კრივში — მეივეზერის შემდეგ რინგზე სავარაუდოდ ისევ ვიხილავთ ფელიქს ტრინიდადს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადება თავად მოკრივის მამამ და ამასთანავე მწვრთნელმა გააკეთა.

ტრინიდადის დაბრუნებაზე თავად დონ კინგი ზრუნავს, რომელსაც ძალიან უნდა პუერტო რიკოელი როი ჯონს-უმცროსს დაატაკოს.

ამის წინააღმდეგი არც ჯონსია. თუმც ამერიკელი ახლა მხოლოდ 7 ივლისს ენტონი ჰენშოსთან გასამართ ბრძოლაზეა კონცენტრირებული:

„ახლა მარტო ჰენშოზე ვფიქრობ. ისე, 7 ივლისს ჯერ ჰენშოს დავანოკაუტებ, მერე კი ფელიქს ჩავაზუტებ ფიცარნაგს" — როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „ტკბილი" იყო ჯონსი.

**კახა ლომჯარიძე**



ფელიქს ტრინიდადი



# მიზანი ერთია: ერთი მოგება

## ახალგაზრდებმა სლოვენიაში A უნდა დაამტკიცონ

**დღეს** გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ გაემგზავრა. კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდი 6-დან 15 ივლისამდე უძლიერესს გამოავლენს. ქართველების პროგრამა მაქსიმუმი კი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება.

დავით უსტიაშვილის სამწყსო ჯგუფიდან თუ გავიდა, გავარდნა აღარ ემუქრება, არადა, კიდევ სამ უიღბლოსთან მოუწევს ელიტაში დასარჩენად ბრძოლა: B დივიზიონში ორი უცუდესი შედეგის მქონე გუნდი ჩაქვეითდება. საქართველოს ნაკრებს შარშანდელი შემადგენლობა რომ ჰყავდეს, იცოცხლეთ, ეგებ საპრიზო ადგილისთვისაც ებრძოლა, მაგრამ ვიქტორ სანიკიძემ, გიორგი ცინცაძემ, მანუჩარ მარკოიშვილმა და კიდევ რამდენიმე ყოჩაღმა ბიჭმა 20-წლიან ზღვარს გადააბიჯეს და ახალგაზრდულს ველარ ეხმარებიან.

ეს ნაკრები კი იმდენად ძლიერი არაა, სლოვენიაში გადიდგულებული ჩავიდეს. უსტიაშვილის გუნდი 2 დღის წინ დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც 3 მატჩი გამართა B დივიზიონში მყოფ სლავებთან და სამივეში დამარცხდა. რა იქნება სლოვენიაში, ძნელი სათქმელია, თუმც ქართველები რომ იქ ბოლომდე საბრძოლად მიდიან, ეჭვი არავის ეპარება.

— სლოვენიაში საბრძოლველად მივდივართ და რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ — თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ახალგაზრდების მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** — სამწუხაროდ, უკრაინაში დაშავდა მიხეილ ფაცაცია, რომელმაც ხელი მოიტეხა და მის ნაცვლად ევროპის ჩემპიონატზე ირაკლი გულისაბედაშვილი მოდის...

— პირველივე მატჩში ისეთი მეტოქე გვყავს, რომელთანაც, ჩვენი აზრით, მოგება შეიძლება. ლატვიის გუნდი სუსტი არ არის, მაგრამ ფავორიტი ნამდვილად არ ეთქმის. მერე იტალიას ვეთამაშებით და ბოლოს ბულგარეთს. ერთი შეხვედრაც რომ მოვიგოთ, დიდი შანსია, ჯგუფიდან გავიდეთ და ჩვენი მთავარი მიზანიც ხომ ესაა...

— უკრაინაში შეკრება ძალიან სასარგებლო იყო. ბიჭებს ერთად თამაშის გამოცდილება თითქმის არ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, არც იყო გასაკვირი, რომ სამივე მატჩი წავაგეთ. უკრაინას თითქმის შარშანდელი შემადგენლობა ჰყავდა — შეკრულ-შეთამაშებული. ძალიან დაბალანსებული და მებრძოლი გუნდია. მეორე მატჩში მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ბოლო წუთებზე ისევ და ისევ გამოუცდელობამ დაგვალალატა. ამ სამ თამაშში მიღებული გამოცდილება საკმარისი არაა, მაგრამ უამისოდ თითქმის განწირულები ვიქნებოდით...

— სამწუხაროდ, მეტოქეებზე მწირი ინფორმაცია გვაქვს. ვიდეომასალა ვერ მოვიპოვეთ, თუმც ჩვენი მოწინააღმდეგენიც იგივე ვითარებაში არიან...

— ფეხი იტკინა ნაკრების კაპიტანმა რევაზ დიდიამ, თუმც სერიოზული არაფერია და მისი იმედი სლოვენიაშიც გვექნება. დანარჩენები კი მწყობრში არიან.

ბოლოს უსტიაშვილის თანაშემწე **გელა წულაძემაც** თქვა ორი სიტყვა:

— შემდეგ ეტაპზე გასვლის ერთადერთი შანსი გვაქვს: თუ გუნდურად ვითამაშებთ. უკრაინაში შეტევაში თამაში არ გამოგვივიდა, დაცვას კიდევ არა უშავდა, თუმც სასურველისგან შორს ვიყავით. უნდა ვეცადოთ, რომ შეცდომები მინიმუმამდე დავიყვანოთ და მეტოქეებს გუნდური თამაში მოვახვიოთ თავს.

**ირაკლი ბერტაია**

**თამაშების განრიგი**

6 ივლისი. 16 საათი
**საქართველო — ლატვია**
7 ივლისი. 23 საათი
**საქართველო — იტალია**
8 ივლისი. 18 საათი
**საქართველო — ბულგარეთი**

**საქართველო სლოვენიაში**

რევაზ დიდია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ირაკლი ჯგერენაია, ლაშა ფარლალავა, ლევან ცეკვავა, მიხეილ ჭოჭუა, ლექსო ლაფანაშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ბექა წივწივაძე, გიორგი გაფრინდაშვილი, ირაკლი გულისაბედაშვილი

# კარტერმა ბადე არ გახია

**უკან დარჩა** საყვედურებისა და უთანხმოებების პერიოდი. ვინს კარტერი კიდევ ოთხი წელი უერთგულებს „ნიუ ჯერსი ნეთსს“, რასაც კლუბი 61,8 მილიონად დაუფასებს.



რამდენიმე კვირის წინ კარტერმა 60-მილიონიანი და ოთხწლიანი კონტრაქტი უარყო და სხვა კლუბებთან დაიჭირა საქმე, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ნაკლებად სარფიანი შეთამაზებები მიიღო და შეჩვეულ გუნდში არჩია კარიერის გაგრძელება. თანაც კარტერი უკვე 30 წლისაა და მისთვის გუნდის გამოცვლა ისე იოლი არ იქნება, როგორც ხუთი წლის წინ. კლუბის პრეზიდენტ როდ ტორნს „ბადეების“ ხელახლა აშენების გეგმები არ უთავდება და კარტერსაც ეტყოდა, გვერდით ისეთ ბიჭებს დაგიყენებ, თავს მეფედ იგრძნობო.

ტორნმა კი ამასობაში კარტერთან ერთად კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი შეინარჩუნა. შედარებით ახალგაზრდა ცენტრი მაიკლ მურიც თანახმაა, „ნეთსში“ დარჩეს. მხარეებს არ გაუხმოვანებიათ კონტრაქტის პირობები, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ მურის კონტრაქტი კარტერივით ასტრონომიული არ იქნება. მაიკლ მური განვლილ სეზონში სათადარიგო ცენტრი იყო და ხუთეულში მას შემდეგ ჩაჯდა, რაც შუა სეზონში სერბი ნენად კრსტიჩი დაიმტვრა. რიგიანადაც ირჯებოდა — საშუალოდ 9,8 ქულასა და 6,1 მოხსნას აგროვებდა, ხოლო სროლების 60,9 პროცენტს აგდებდა, რითაც მთელ ლიგაში საუკეთესო იყო.

კარტერიც და მურიც სიტყვიერად შეუთანხმდნენ კლუბს, გამზადებულ კონტრაქტებზე კი, ლიგაში დათქმული წესის თანახმად, ხელს 11 ივლისის მერე მოაწერენ.

თავის კლუბს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ასევე ჯერჯერობით სიტყვიერად შეუთანხმდა 27 წლის ფორვარდი ლუკ უოლტონი, რომ ის გუნდში 6 წლით და 30 მილიონ დოლარად დარჩება. უოლტონი წინა სეზონში საშუალოდ 11,4 ქულას, 5,0 მოხსნასა და 4,3 პასს იხვეჭდა და ამ მონაცემების პატრონს სხვა გუნდში ბევრად მეტს მისცემდნენ, ვიდრე „ლეიკერსში“, მაგრამ მან ძველს უერთგულა, აქ თავს გადასარევად ვგრძნობ და ზედმეტი ორი მილიონის გულისთვის არ მიღირს ჩემოდნების ჩაბარგება-ამობარგებაო. შესაძლოა, უოლტონს კიდევ აქვს იმედი, რომ „ლეიკერსიდან“ წასვლაზე ისტერიკის ამტეხი კობი ბრაიანტი გადაიფიქრებს და თავისი დარჩენით გააბედნიერებს ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან კლუბს.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას სიეტლელი თავისუფალი აგენტი რაშარდ ლუისი. 208-სანტიმეტრიანი მსუბუქი ფორვარდი ბევრს მოსდის თვალში და მიუხედავად იმისა, რომ მის ძველ კლუბში დატოვება სურთ, ლუისი ძნელად გაუძლებს სხვა გუნდებისგან წამოსულ ცდუნების მილიონებს. „სიეტლში“ მისი დარჩენა საეჭვოა, თუ მას შემდეგ გახდა, რაც კლუბი გენერალურმა მენეჯერმა 28 ივნისის დრაფტზე მეორე და მეხუთე ნომრებად მისი ამპლუის ორი პერსპექტიული ჯეელი აიყვანა — კევინ დურანტი და ჯეფ გრინი. და მიუხედავად იმისა, რომ ლუისი მხოლოდ 27 წლისაა და სულ ცოტა 5 კარგი სეზონი აქვს წინ, თანაც რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ ბარაქიან რიცხვებს 22,4 ქულასა და 6,6 მოხსნას უყრიდა თავს, ამ ორის გვერდით მისი თამაში ველარ იქნება ასეთი ქულუხვი.

ლუისს ორი ოლ სტარი აქვს მოლეული და მისი დონის მოთამაშეს არ უნდა გაუჭირდეს 10-12 ან ვინ იცის, 15-მილიონიანი წლიური ჯამაგირის შოვნა, შემოთავაზებებიც მრავლად აქვს. მისი აგენტი ამბობს, რომ დრაფტის შემდეგ ნბა-ს 30 კლუბიდან სულ ცოტა 20-მა მაინც დაურეკა.

**ქოთე ყორშია**

# პორტლენდში მარიხუანა გადააგდეს

## ჩრდილო-დასავლეთში იდილიამ დაისადგურა

**„ნიუ იორკთან“** შედარებით აქ ნამდვილი საგიჟეთია" — აღმოხდა დრაფტის პირველ ნომერ გრეგ ოდენს, როცა პორტლენდში ჩაფრინდა და იქ აეროპორტშივე მის დასახვედრად შეკრებილ ზღვა ხალხს თვალი მოავლო.

რა გასაკვირია, პორტლენდში მას „ბლეიზერსის“ მხსნელად და აღმაშენებლად თვლიან. იმისთვის, რომ ამ 216-სანტიმეტრიანმა ცენტრმა მომავალში გვერდით სხვა ვარსკვლავის ყოლა არ იუცხოვოს, გუნდის მთავარი მექულე და მომხსნელი ზაკ რენდოლფი „ნიუ იორკში“ გაუშვეს და ამით ანიშნეს, ამიერიდან შენ უნდა იყო მთავარი მექულეც და მომხსნელიცო.

„არც კი ვიცით, მომავალში რა უნდა გვექნა, ახლა ეს ბიჭი რომ არ აგვეყვანა. დრაფტის წინა ღამეს დიდხანს ვფიქრობდი, რას და როგორ ვიზამთ შემდეგ სეზონში მასთან ერთად" — ოცნებებში წავიდა „პორტლენდის“ თავკაცი ნეიტ მაკმილანი.

კლუბი ოდენს უკვე შეუთანხმდა ორწლიან და 7,9-მილიონიან ურთიერთობაზე, ასე რომ ფორმალური მხარე მოგვარებულია და ნეიტ მაკმილანს მას გარშემო ახალი გუნდის აშენებაზე ფიქრი და მუშაობაღა დარჩენია.

სათქმელია ისიც, რომ ოდენი წესიერი ყმაწვილის შთაბეჭდილებას ტოვებს, „პორტლენდში“ კი ბოლო წლებში ასეთების დიდი დეფიციტი შეინიშნებოდა, თითქოს ვიღაცამ შეგნებულად შეყარა ერთად ამდენი ხულიგანიო. გუნდს მეტსახელად „ჯაილ-ბლეიზერსს“, ანუ „ციხის ბლეიზერსს“ ეძახდნენ. ბოლოს ცოტა გამოსწორდა საქმე, შარშანდელი დრაფტის ბიჭები — ბრენდან როი და ლამარკუს ოლდრიჯი ჯერ არ ყოფილან შემჩნეულები მარიხუანის ქაჩვაში. როი სეზონის საუკეთესო ახალბედადაც დასახელდა, ასე რომ ამ გუნდის ჩამუქებულ ცხოვრებაში ნათელი გამოერია.

ოდენის მოსვლასაც ერთსულოვნად ზეიმობს ქალაქი. დრაფტის მეორე დღეს „პორტლენდის“ შინაურ თამაშებზე დასასწრები არც მეტი, არც ნაკლები, 3500 სეზონური აბონემენტი გასაღდა, რაც არაბუნებრივად ბევრია იმ გუნდისთვის, რომელიც კარგა ხანია, პლეი ოფში არ მოხვედრილა.

ოდენს ალბათ ნებისმიერი გუნდი ისურვებდა ნბაში, მაგრამ ის მხოლოდ „პორტლენდს“ შეხვდა, სხვები კი წესით, გულდაწყვეტილები უნდა იყვნენ, მაგრამ წყნარი ოკეანის სანაპიროზევე პორტლენდისაგან ოდნავ ჩრდილოეთით, სიეტლში მსგავსი არავის არაფერი ეტყობა. „ზებგერითებს“ დრაფტზე მეორე არჩევანის გაკეთების უფლება ჰქონდათ. მათ 206-სანტიმერიან კევინ დურანტს მოჰკიდეს ხელი, სიეტლში ჩაიყვანეს და ხალხს აჩვენეს, აი, ჩვენი და თქვენი მხსნელიო. ხალხსაც უმალ მიავიწყდა „ბოსტონში“ გაშვებული ძველი ლიდერი რეი ალენი და მომავალის ვარსკვლავს მიაპყრო მზერა,

ეს მომავალი ვარსკვლავი კი მხოლოდ 18 წლისაა და ვნახოთ, როგორ გაუძლებს ლიდერის ტვირთს.

**ქოთე ყორშია**

# პორტუგალიამ ქართველებს გზა გაუხსნა



**მომავალ უქმეებზე** საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მოსკოვში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ფინალური ეტაპი მეექვსედ იმართება. აქამდე ყველა ტურნირი პორტუგალიელებმა მოიგეს.

წლეულს პორტუგალიელებს ტრადიციული 15-კაცა ნაკრების გამო დავთრები აერიათ და საგაზაფხულო საშვიდკაცო სეზონი ჩააფლავეს. მოსკოვში წასვლაზე კი სულაც უარი თქვეს, აქაოდა და საბრძოლო რაზმს ვერ ვაკოწიწებთ, შერცხვენას კი წაუსვლელობა გვიჯობსო.

ლათინოსების უარი ერთიორად ზრდის ქართველების შანსებს, რომლებმაც აქამდე, ტუნისის მოსათელი ტურნირი რომ არ ჩავთვალოთ, მსოფლიოს და ევროპის ორ-ორ ეტაპზე ირაგბეს.

ლონდონის და ედინბურგის მსოფლიო ტურებზე ჩვენებმა შესაბამისად ბოლო და მეთორმეტე ადგილები დაიკავეს. პოლონეთის და თბილისის ევრორაგბობაზე კი ფინალში გავიდნენ, მაგრამ ორჯერვე ფრანგებთან წააგეს.

მოსკოვში, საქართველოსთან ერთად ფავორიტები არიან მასპინძელი რუსეთი და საფრანგეთი. რუსულ რაგბის ახლა ქართველების მწვრთნელყოფილი კლოდ სორელი მოძღვრავს, შვიდკაცა რაგბი კი სულაც მისი სტიქიაა. ამასთან რუსებს ძალიან სურთ შინ ერთი ევროტიტული მაინც მოიგონ და ამ ტურნირისთვის საგანგებოდ ემზადებიან.

საქართველოს ნაკრები ათკაციანი შემადგენლობით თბილისში შეიკრიბა და „შევარდენის" სტადიონზე ვარჯიშობს. აქედანვე ვთქვათ, რომ მსოფლიოს და ევროპის ტურებზე ნაშვიდკაცარი რაზმისგან განსხვავებით, ჩვენები მოსკოვში ექსპერიმენტული შემადგენლობით გაემგზავრებიან. ქართველების გამოკვეთილი ლიდერები საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე გიორგი კაჭარავა და შალვა სუთიაშვილი არიან. სუთიაშვილი ახლახან დაბრუნდა რუმინეთში გამართული მსოფლიოს ერთა თასიდან, სადაც ეროვნულ ნაკრებს ახლდა.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველო მოსკოვში

ვახტანგ [illegible]
ირაკლი გეგენავა,
სანდრო ნიჟარაძე
ლაშა ხმალაძე
ირაკლი კალმახელიძე
გიორგი კაჭარავა
შალვა სუთიაშვილი
დავით ჩიტიძე
ლევან ხუხუნეიშვილი
დავით გურგენიძე

### მოსკოვის შვიდკაცა

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საფრანგეთი | იტალია |
| გერმანია | საქართველო |
| რუსეთი | ესპანეთი |
| რუმინეთი | უკრაინა |
| პოლონეთი | მოლდოვა |
| ანდორა | ლიტვა |

### საქართველოს განრიგი

7 ივლისი, შაბათი
საქართველო — უკრაინა
საქართველო — იტალია
საქართველო — ესპანეთი
საქართველო — ლიტვა
8 ივლისი, კვირა
საქართველო — მოლდოვა
პლეი ოფი

# შევარდენის მეორე დაბადება

**გასული** საუკუნის 80-იან წლებში თბილისის „შევარდენი" საბჭოთა კავშირის სარაგბო თემში კერკეტ კაკლად ითვლებოდა. ეს ის დროა, ქუთაისის „აია" რომ ქუხდა სსრკ-ს ჩემპიონატში და კიდევ ერთი ქართული გუნდის სახელიანობას „ზევით" ვერ ეგუებოდნენ. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილმა „შევარდენმა" მაინც მოასწრო საქართველოს ჩემპიონობა, ახალგაზრდებს შორის სსრკ-ს ოქროს მედლებიც მოიგო, სსრკ-ს თასის ნახევარფინალშიც ითამაშა და რომ არა „ზევიდან" ზეწოლა ეგებ ფინალშიც გასულიყო. ამასთან „შევარდენმა" საბჭოთა უმაღლესი ლიგაც დააჭაშნიკა და იქ კომპარტიის ნალოლიავები ბევრი რუსული კლუბიც გაამწარა.

ახლა აღარ მოვყვებით, რამდენი შევარდენელი გახდა სახელიანი მორაგბე და საქართველოს ნაკრებშიც ითამაშა. ამხელა შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ უკვე დამოუკიდებელი საქართველოში 90-იან წლებში დაშლილი „შევარდენი" ისევ შეიქმნა. ეს საქმე ვეტერანმა შევარდენელებმა ითავეს. დავაზუსტოთ, რომ ახალი კლუბი ბავშვთა ბაზაზე გაკეთდა და წინ დიდი მომავალი ელის.

აი, რას გვეუბნება ამ საშური საქმის წამომწყები დავით ბიძინაშვილი: „ხუთი წლის წინ ჩემი შვილი და ჩემი ორი ძმიშვილი ერთ-ერთ სარაგბო გუნდში მივიყვანე. ათი-თერთმეტი წლის ბავშვები იყვნენ. ისე მოხდა, რომ ის გუნდი დაიშალა და ბავშვების აქეთ-იქით ტარებაში დროც გაცდა. შარშან გადავწყვიტე ახალი გუნდი შემექმნა. დახმარებისთვის ყოფილ თანაგუნდელებს გია ბერიაშვილს და გია კურატიშვილს მივმართე. უკვე ორი წელია „შევარდენის" ბავშვთა გუნდი გავაკეთეთ, ახლა კი ამ ყველაფერს ჩამოყალიბებული კლუბის სახეს მივცემთ. ერთიც, იურიდიულად ამ „შევარდენს" იმ დიდ გუნდთან საერთო არაფერი აქვს. უბრალოდ, სახელზე დიდხანს არ გვიფიქრია, აქ ყველანი შევარდენელები ვართ და გადავწყვიტეთ, ახალი გუნდისთვის ეს სახელი დაგვერქმია".



მამა-შვილი ბიძინაშვილები: კლუბის პრეზიდენტი დავითი და კაპიტანი გიორგი

დავით ბიძინაშვილი ახალშექმნილი კლუბის პრეზიდენტია და როგორც ამბობს, გრძელვადიანი და საკმაოდ საინტერესო პროექტი აქვს. თუმც ამაზე უფრო კონკრეტულად ერთ-ერთი მწვრთნელი გია ბერიაშვილი გვესაუბრება: „ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავს. რამდენიმე უმაღლესლიგელმა უკვე დაადგეს თვალი ჩვენ აღსაზრდელებს და შეიძლება ითქვას, ტაციობაა. მაგრამ დათმობას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენც დიდი გეგმები გვაქვს და მომავალი წლიდან საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ვითამაშებთ".

გია კურატიშვილი: „ბავშვებში ჩემპიონატები არ ტარდება და ჩვენც ფესტივალებით და ამხანაგური მატჩებით ვკმაყოფილდებით. წლეულს სადაც ვითამაშეთ, ყველგან მოვიგეთ. გუნდმა ოცამდე მატჩი ითამაშა და არსად წაუგია".

„შევარდენში" ახლა 50-მდე ბავშვი ვარჯიშობს. მომავალი წლიდან 92-93 წლებში დაბადებულები საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ითამაშებენ და კლუბთან ხელშეკრულებასაც გააფორმებენ. მათ გარდა „შევარდენში" ვარჯიშობენ 94-95, 96-97 წლებში დაბადებულები. სექტემბრიდან კი კლუბი 97-98 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას აცხადებს.

„შევარდენი" დიღუბეში, 22-ე სკოლის წინ, „სუკონკად" ცნობილ მოედანზე ვარჯიშობს. მათი საკონტაქტო ტელეფონებია: 899 792222 (გია ბერიაშვილი), 899 348734 (გია კურატიშვილი), ფაქსი: 273135



# ჯერ ივლისი და თბილისი

## სექტემბრის ბაქომდე აგვისტო და რუმინეთი იქნება

**დღეს საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გლდანში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში შეიკრიბება და 14-15 ივლისის თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის მზადებას შეუდგება. ბერძნულ-რომაული სტილის მიმდევრებთან ერთად იაპონიის, ამერიკისა და ისრაელის ნაკრებებიც ივარჯიშებენ. ტურნირის შედეგებით კი ის ქართული შემადგენლობა გამოიკვეთება, სექტემბერში ბაქოში, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ უნდა წავიდეს. კარტოზიას ტურნირის სამზადისსა და საშემოდგომო გეგმებზე გუშინ ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია გვესაუბრა**




— ტურნირამდე ათდღიან შეკრებას თბილისშივე, ოლიმპიური რეზერვების ცენტრში გავივლით. ამ დარბაზში აქამდე მხოლოდ ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებები ემზადებოდნენ ხოლმე, უფროსები კი პირველად ვივარჯიშებთ.

**— იქვე იცხოვრებთ?**

— რა თქმა უნდა. იქაურობა ახალი გარემონტებულია და კარგი პირობები გვექნება. რაც მთავარია, დარბაზი იმხელაა, რომ ოთხი ხალიჩა იშლება.

**— რამდენი მოჭიდავე გაივლის შეკრებას?**

— დაახლოებით ოცდაათამდე. კარტოზიას ტურნირის წინ საქართველოს ჩემპიონატის ჩემპიონ-პრიზიორები ერთად ივარჯიშებენ.

**— საჭიდაოდაც ეს შემადგენლობა გავა?**

— სხვებიც დაემატებიან. თითო წონაში 5-დან 7-მდე ქართველი იჭიდავებს.

**— მასპინძლების რაოდენობაზე შეზღუდვა არ არსებობს?**

— საერთაშორისო ფედერაცია მხოლოდ რეკომენდაციას იძლევა, რომ პირველობა ზედმეტად არ გადავტვირთოთ. დაჟინებული მოთხოვნა არ აქვს და ზომიერების ფარგლებში ვეცდებით, შანსი ყველას მივცეთ.

**— ტრავმების მხრივ როგორაა ნაკრებში საქმე?**

— ევროპის ჩემპიონებმა — მანუჩარ კვირკველიამ და რამაზ ნოზაძემ ჩემპიონატზე მიღებული ტრავმები ბოლომდე ჯერაც ვერ მოიშუშეს. კვირკველიას მაჯა აწუხებს და სრულყოფილად ვარჯიშს ვერ ახერხებს. იგი მხოლოდ ფიზიკურად ემზადება, ნოზაძე კი ნელნელა უბრუნდება ხალიჩას.

**— შეკრებას ორივე გამოტოვებს?**

— არც ერთი არ გამოტოვებს. ორივე გუნდთან ერთად იქნება და შესაძლებლობების ფარგლებშიც მოემზადებიან?

**— ტურნირზე ჭიდაობას თუ შეძლებენ?**

— ეს შეკრებაზე გამოჩნდება. სავარაუდოდ, ხალიჩაზე გასვლას ვერ მოახერხებენ. კვირკველიას და ნოზაძის შესაძლებლობები ისედაც ყველასათვის ცნობილია და არ ღირს რისკის გაწევა. შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. წინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე სატურნირო გამოცდილების მიღებას მოასწრებენ?**

— სექტემბრამდე ერთი ტურნირი გველის — 11-12 აგვისტოს რუმინეთში და იქ ალბათ ორივე იჭიდავებს.

**— კვირკველია-ნოზაძის გარდა ყველა ჯანზეა?**

— საბედნიეროდ, კი.

**— თბილისში სავარჯიშოდ იაპონელებიც აპირებენ ჩამოსვლას. ისინი როდის შემოგიერთდებიან?**

— შეკრების დაწყებისთანავე. იაპონია სამი მოჭიდავით ჩამოდის. ამერიკელი და ებრაელი სპორტსმენები კი ტურნირამდე სამი დღით ადრე შეგვემატებიან.

**— ნატურნირევს მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა შემადგენლობა უკვე გამოკვეთილი იქნება?**

— შიდა კონკურენციაში ბევრი რამ გაირკვევა. შეიძლება, ზოგიერთ წონაში საბოლოო გადაწყვეტილება თბილისური შედეგებით მივიღოთ, მაგრამ წამსვლელთა ვინაობას ასე ადრე მაინც არ გავამჟღავნებთ.

**— რუმინულ ტურნირზე მსოფლიოზე წამსვლელებს იახლებთ?**

— ჯერ ვერ გეტყვით. შეიძლება, ზოგ წონაში კანდიდატებიც დავაყენოთ, საუკეთესო სწორედ იქაური ჭიდაობებით რომ გაირკვეს

**— სასექტემბრო მოსამზადებელი გეგმა უკვე დაზუსტებულია?**

— ყველაფერი დღეებით გვაქვს გათვლილი. კარტოზიას სახელობის ტურნირის შემდეგ სამ დღეში ბაკურიანში გავემგზავრებით და ორკვირიან შეკრებას მოვაწყობთ, რომელიც ფიზმომზადებას დაეთმობა. 3-9 აგვისტოს რუმინეთში ვივარჯიშებთ, ხოლო 11-12-ში იქვე ვიჭიდავებთ. 15-29 აგვისტოს მინსკში ერთობლივი შეკრება გველის, რომელშიც, სავარაუდოდ, რვა ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ნაწილს 2-14 სექტემბერს ბორჯომში გავივლით. მსოფლიოს ჩემპიონატი კი ბაქოში 17-19 სექტემბერს გაიმართება.

**ოთარ ბაღლაძელიძე**



# ალექნამ 32 დათვალა

**ათენის** ულამაზესმა ოლიმპიურმა სტადიონმა მსოფლიოს ჩემპიონატსაც უმასპინძლა და ოლიმპიურ თამაშებსაც, თუმც მძლეოსნობას არ დაუვიწყებია არც ეს ულამაზესი ნაგებობა და არც ათენელი ვნებიანი მაყურებელი, სადაც ყოველ წელიწადს ეწყობა სუპერტურნირი, რომელსაც არასოდეს აკლია სუპერათლეტები.

ახლაც, ორშაბათს გამართულმა ამ ტურნირმა 30 ათასი ადამიანი შეკრიბა 70-ათასიანი სტადიონის ტრიბუნებზე და ხალხმაც მართალია, მსოფლიოს ვერა, მაგრამ არაერთი სეზონის რეკორდის შემძლე კაცი იხილა.

ათენში არ ურბენიათ არც მსოფლიოს რეკორდსმენ ასაფა პაუელს და არც ამერიკელი ჰეპარდების კოჰორტას, მაგრამ იქ 100 მეტრზე კაცთა სირბილში მაინც გვარიანი შედეგები იქნება ნაჩვენები. ბაჰამის კუნძულების მკვიდრმა დერეკ ეტკინსმა 100 მეტრი 9,95 წამში დაფარა და ტიტულიან მეტოქეებს — ბრიტანელ ბარლონ დევონიშსა (10,09) და პორტუგალიელ ფრანსის ობიკველუს (10,11) აჯობა.

ბაჰამელებს ქალთა 100 მეტრშიც მოეძებნათ ფეხმალი მორბენლები — 11,15 წამიანი შედეგით დები ფერგიუსონ-მაკენზიმ მეორე ადგილი დაიკავა, 11,19 წამით მესამე მელისა ბარბერი იყო, პირველობა კი 11,12 წამიან ამერიკელ ანჯელა უილიამსს დარჩა.

ევროპულ სარბენ ბილიკებზე გამარჯვებით გამოჩნდა 20 წლის კუბელი კალია დეირონ რობლესი, ვინაც აქამდე საფრანგეთში ვარჯიშობდა და ცდიდა თავს, მერე კი თქვა, ახლა მზად ვარ, შემაჯიბრეთ ვისაც გინდათო. ათენში მას არ მოუშია თავისი დისციპლინის, 110 მეტრი თარჯბენის უკაშკაშეს ვარსკვლავებთან დატოლება, საბერძნეთში არც ლიუ სიანი ჩავიდა და არც დომინიკ არნოლდი. ასე რომ, კუბელ ყმაშვილს გამარჯვება არ გასჭირვებია, საკმაოდ საშუალო შედეგით, 13,11 წამში მოიგო გარბენი. მაგრამ ესეც ვთქვათ, ეს 13,11 წამი მისთვის სეზონის რეკორდია.

თრილერს ჰგავდა კაცთა 400 მეტრი თარჯრბენი, სადაც ევროპის ჩემპიონი პერიკლის იაკოვაკისის შემხედვარე ბერძნებს გამარჯვების იმედი გაუჩნდათ. ეს ყმაწვილი უსწრაფესად დაიძრა, საწყისი თარჯებიც ყოჩაღად დაძლია და 200 მეტრი დამაჯერებლადაც ილიდერა, მაგრამ დისტანციის ნახევრის გარბენის შემდეგ მას აშკარად გაუთავდა საწვავი და მეტოქეებმა ერთიმეორის მიყოლებით გაასწრეს. საფინიშო 100-მეტრიან სწორზე ლამის ხოცვა-ჟლეტვა გაიმართა. გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ბერშონ ჯეკსონმა, რომელმაც მოედანს 48,15 წამში შემოურბინა და სულ რაღაც 0,01 წამით აჯობა კენეტ ფერგიუსონს. სეზონის რეკორდის მფლობელი ჯეიმს კარტერი (48,25) მესამე იყო, იაკოვაკისს კი საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე ადგილი შერჩა.

წელი წელს მისდევს და ლიტველ ბადროს მტყორცნელ ვირგილიუს ალექნას ტოლი და სწორი არ გამოუჩნდა. ყველაფრის ჩემპიონი ბალტიისპირელისთვის არც ტურნირებზე გამარჯვებაა ძნელი, მისთვის მოგება ხელის ერთ ხეორიან გაშლას ნიშნავს და ალექნამ ათენში ბადრო 70,43 მეტრზე რომ დასცა, ამით ზედიზედ 32-ე (!) ტურნირი მოიგო, თანაც წლეულს მესამედ გასცდა 70 მეტრს.

სხვები ახლოსაც ვერ მიუვიდნენ ლიტველ მძლეოსანს — მხოლოდ 68,25-მეტრიანი შედეგითმეორე იყო მარი პესტანომი. მისთვის ეს ტყორცნა მაქსიმუმის მაქსიმუმი იყო და იმითაც კმაყოფილი დარჩა, ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო შედეგი რომ აჩვენა.

ათენში იყოჩაღა რუსი დედაკაცების მთელმა არმიამ. რუს ქალთა ანგარიშზე არაერთი სეზონის რეკორდი მოვიდა. სამხტომელმა ტატიანა ლებედევამ სამივე ცდა კარგად შეასრულა, რომელთა შორის საუკეთესო — 15,14-მეტრიანი ნახტომი სეზონის სეზონის საუკეთესო შედეგი გახლავთ. 14,72 მეტრით მეორე იყო კუბელი იარგელის სავინე, ხოლო 14,57 მეტრით მესამე და საპატიო ადგილი შეხვდა მასპინძელ ხრიზოფიგი დევეცის.

3 კილომეტრ სტიპლჩეიზში (წინაღობებით რბენა) მსოფლიოს რეკორდსმენმა გულნარა სამიტოვაგალკინამ 9.11,68 შედეგით სეზონის რეკორდიც ჩაიწერა და ყველა დროის მეოთხე შედეგიც აჩვენა. ეს რუსგოგო ამ ურთულეს სახეობაში თვით აფრიკელ ქურციკებს — კენია-ეთიოპიელებსაც კი სჯობს და მსოფლიოს ყველა დროის ხუთი


ტატიანა ლებედევამ სეზონის რეკორდი დაამყარა

უსწრაფესი შედეგი მას ეკუთვნის. ამავე დროს მძლავრად ირბინეს მისმა მდევრებმაც, კენიელმა იუნის ჯეპკორირმა 9.14,52 შედეგით თავისი ქვეყნის რეკორდი კი დაამყარა, მაგრამ ის მაინც ლამის სამი წამით ჩამორჩა გამარჯვებულს.

საშუალო დისტანციებზე სირბილშიც რუსები ზეობენ. ქალთა 1500 მეტრზე წლეულს მხოლოდ ელენა სობოლევა ახერხებს 4 წუთიდან ამორბენას. ათენში მისი შედეგი იყო 3.58,3. 800 მეტრზე გაიმარჯვა სვეტლანა ჩერკასოვამ (1.59.03), კაცთა 800 მეტრზე კი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იური ბორზაკოვსკი (1.44,38) იყო.

**ქოტე ყორშია**

ბიბლიოთეკა

ფრენბურთი

# მსოფლიო ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი
## მე-11 და მე-12 ტურები
# ხუთნი ველურს ელიან

**11-დან 15 ივლისის** ჩათვლით პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში კაცთა მსოფლიო ლიგის ფინალური ეტაპი გაიმართება. მასში ექვსი საუკეთესო ნაკრები მიიღებს მონაწილეობას და ამ ექვსეულიდან ხუთი უკვე ცნობილია: მასპინძელი პოლონეთი: A, B და C ჯგუფებში გამარჯვებულები — ბრაზილია, აშშ და რუსეთი; D ჯგუფში პოლონეთის შემდეგ მეორე ადგილზე გასული ბულგარეთი და ამ ხუთეულს კიდევ სამი მეორეადგილოსნიდან — ფინეთი, საფრანგეთი, კუბა — ერთი დაემატება და ამ ერთს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცები და ფინალური ეტაპის ორგანიზატორები დაასახელებენ, ანუ „უაილდ ქარდს“, ჩვენებურად „ველურ ბარათს“ უბოძებენ.

უკვე ცნობილია ფინალური ეტაპის ჯგუფების შემადგენლობა და თამაშების განრიგი. E ჯგუფში პოლონეთი, ჯერჯერობით უცნობი „ველური“ და აშშ ითამაშებენ, ხოლო F ჯგუფში — ბრაზილია, რუსეთი და ბულგარეთი. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა, ხოლო ფინალური მატჩი 15 ივლისს გაიმართება.

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ფინეთი 0:3 ბრაზილია | სერბეთი 0:3 რუსეთი |
| 21:25 22:25 23:25 | 31:33 23:25 12:25 |
| ფინეთი 1:3 ბრაზილია | სერბეთი 3:0 რუსეთი |
| 20:25 25:23 21:25 21:25 | 25:22 25:16 25:19 |
| კანადა 3:1 კორეა | ეგვიპტე 0:3 კუბა |
| 25:19 21:25 25:21 25:19 | 22:25 20:25 20:25 |
| კანადა 0:3 კორეა | ეგვიპტე 0:3 კუბა |
| 20:25 21:25 23:25 | 23:25 17:25 22:25 |
| ბრაზილია 24 ქულა; ფინეთი 19; კორეა 15; კანადა 14 | რუსეთი 22 ქულა; კუბა 19; სერბეთი 19; ეგვიპტე 12 |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| იტალია 1:3 აშშ | არგენტინა 2:3 ჩინეთი |
| 18:25 25:23 16:25 29:31 | 20:25 25:16 25:23 15:25 13:15 |
| იტალია 0:3 აშშ | არგენტინა 1:3 ჩინეთი |
| 26:28 21:25 13:25 | 25:18 21:25 26:28 25:27 |
| იაპონია 2:3 საფრანგეთი | პოლონეთი 3:1 ბულგარეთი |
| 26:24 25:19 19:25 24:26 11:15 | 22:25 25:23 25:22 25:16 |
| იაპონია 3:1 საფრანგეთი | პოლონეთი 3:1 ბულგარეთი |
| 19:25 25:20 25:19 25:20 | 23:25 25:20 25:23 25:23 |
| აშშ 22 ქულა; საფრანგეთი 19; იტალია 13; იაპონია 12 | პოლონეთი 24 ქულა; ბულგარეთი 20; ჩინეთი 16; არგენტინა 12 |

**შენიშვნა:** B ჯგუფში იტალიასა და იაპონიას 10-10 მატჩი აქვთ ჩატარებული. C ჯგუფში კუბა სერბეთზე წინ მოგებული და წაგებული პარტიების უკეთესი სხვაობის გამოა.

ჭადრაკი

# ფიდემ შეცდომები გაასწორა


ვესელინ ტოპალოვი რეიტინგში დააწინაურეს

**სამი თვის წინ,** როცა ფიდემ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რამდენიმე უზუსტობა გაეპარა და შეცდომა ორ დღეში გამოასწორა. კერძოდ, პირველ ადგილზე ვიშვანათან ანანდის მაგივრად ვესელინ ტოპალოვი ეწერა.

შეცდომები ფიდეს ორი დღის წინ გამოქვეყნებულ რეიტინგშიც არის, ოღონდ ამჯერად ტოპალოვის საზიანოდ ბულგარელს ქულები აკლია და ვლადიმირ კრამნიკის ქვემოთ, მესამე ადგილზეა. ცხადია, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია და ტოპალოვის მენეჯერმა სილვიო დანაილოვმა ფიდეს საპროტესტო წერილით მიმართა. ფიდემაც ყველაფერი თავიდან გადათვალა და ვესელინი თავის ადგილზე დააბრუნა.

„ტოპალოვმა ბოლო სამ თვეში 3 ქულა დაკარგა, ფიდემ კი ოთხი ჩამოაწერა და შედეგად მესამე ადგილზე, კრამნიკის შემდეგ აღმოჩნდა“ — განაცხადა დანაილოვმა ცხადია, ეს გადაწყვეტილება არც კრამნიკს მოეწონა და ფიდეს „შეცდომების“ გასწორებით უკმაყოფილო დარჩა.

„კრამნიკმა დორტმუნდის სუპერტურნირი მოიგო და აქტივს 3 ქულა შესძინა, წესით, ეს ფიდეს დროზე უნდა დაეთვალა და რეიტინგში შეეტანა“ — განაცხადა კრამნიკის მხარემ.

ფიდეს პრეზიდენტის მრჩეველმა ბერიკ ბალგაბაევმა მომხდარზე ბოდიში მოიხადა და ყველაფრის გამოსწორებას დაგვპირდა.

ჩვენ ახალ ტექნოლოგიას შევიძენთ და დათვლისას მსგავსი შეცდომები აღარ განმეორდება“ — განაცხადა მან.

ისე, საინტერესოა, რა ტექნოლოგიის შეძენას აპირებენ ფიდეში? ბევრი ხუმრობს, ალბათ გამომთვლელი მანქანის, სამის და ოთხის გამოკლება რომ არ შეეშალოთო.

**ლუკა გეგეჭკორი**

ჰოკეი

# სატერი გიჟი არ არის

**უკვე ტრადიციულად,** 1 ივლისი ნჰლ-ში ის თარიღია, როცა გუნდებს თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გაფორმების შესაძლებლობა ეძლევათ. მაგრამ რაც ამ უქმეებზე მოხდა, სრული სიგიჟე იყო — ნჰლ-ის კლუბებმა ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს თავისუფალ ვარსკვლავებზე და იმხელა კონტრაქტების კორიანტელი დააყენეს, რომ საგადასახადო ჭერი არავის გახსენებია.


კრის დრური და სკოტ გომესი „რეინჯერსის“ ფორმაში გამოეწყვნენ

დღეს მხოლოდ ყველაზე ხმაურიან ამბებზე ვისუბრებთ და „ნიუ იორკ რეინჯერსით“ დავიწყებთ, რომელიც ამ ისტერიიდან აშკარად ყველაზე მოგებული გამოვიდა. „ჩაფრების“ გენერალურმა მენეჯერმა გლენ სატერმა ნამდვილი საოცრება მოახდინა, როცა თავისუფალ ბაზარზე მყოფი ალბათ ორი ყველაზე მსუყე ლუკმა დაითრია — „რეინჯერსი“ სკოტ გომესითა და კრის დრურით გაძლიერდა. ამით ნიუ იორკული გუნდი ორმაგად მოგებული დარჩა, რადგანაც ყველაფერთან ერთად ლიდერები წაჰგვარა თანაკონფერენციელ ბობოლებს, შესაბამისად „ნიუ ჯერსისა“ და „ბუფალოს“.

სატერს, რა თქა უნდა, ჯიბის გვარიანად დათხელება მოუწია, რადგანაც ორივე ფორვარდს წელიწადში საშუალოდ 7 მილიონს გადაუხდის — გომესმა 7 წლიანი და 51,5 მილიონიანი, დრურიმ კი 5 წლიანი და 35,25 მილიონიანი კონტრაქტები დაისაკუთრეს. თუმც ჩიტი ბრძოლვნად ალბათ მაინც ღირს, რადგანაც გუნდი, რომელსაც შეტევაში გომესი, დრური, იარომირ იაგრი, მარტინ სტრაკა, მარსელ ჰოსა და პეტერ პრუხა ეყოლება, სტენლის თასის უპირობო ფავორიტთა შორის იქნება.


რაიან სმიტი

## კოლორადომ გამოიღვიძა

**ლოკაუტისას** ბობოლებიდან ლამის აუსტაიდერებში ჩავარდნილი „კოლორადო“ ძველი დიდების დაბრუნებას გეგმავს — გუნდმა საკმაოდ სერიოზული შევსება მიიღო საიმისოდ, რომ მიზანი აისრულოს.

რაიან სმიტი „ზვავების“ შეტევას აშკარად გააძლიერებს და დენვერულმა გუნდმაც ფული არ დაინანა — „ედმონტონის“ ექს-კაპიტანი შემდეგ ხუთ წელიწადში 31,25 მილიონს მიიღებს.

„კოლორადომ“ უკანა ხაზსაც მიხედა, როცა ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა სკოტ ჰენანს — ის 18 მილიონით გამდიდრდება.

## მცველი წავიდა, მცველი მოვიდა

**სტენლის თასის** მოგების შემდეგ „ანაჰაიმის“ კაპიტანმა სკოტ ნიდერმაიერმა თქვა, ჰოკეიდან წასვლას ვფიქრობო. მაშინ ბევრმა ეს ხუმრობად ჩათვალა, მაგრამ ეტყობა ნიდერმაიერი მართლა მიდის. ყოველ შემთხვევაში, „იხვების“ გენერალურ მენეჯერ ბრაიან ბურკის გუშინდელ მოქმედებებში სწორედ ეს იკითხება — ამ კაცმა „დეტროიტელ“ 38 წლის ვეტერან მეტიუ შნაიდერში აშკარად ზედმეტი გადაიხადა, რომელსაც 2 წლიანი და 11,25 მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. ასაკოვანი შნაიდერი კი ამდენი ნაღდად აღარ ღირს — როგორც ჩანს, ნიდერმაიერის წასვლა გადაწყვეტილი ყოფილა და ექს-დეტროიტელიც მის ადგილს შეავსებს.


ბრაიან რაფალსკი

აი, „დეტროიტის“ გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა შნაიდერის წასვლით ტრაგედია არ შექმნა და ის მალევე ჩაანაცვლა არანაკლებ ვარსკვლავური და შეიძლება უფრო ძლიერი უკანახაზელით — საუბარი აწ უკვე ექს-ნიუ ჯერსელ ბრაიან რაფალსკიზეა. ამ 33 წლის ამერიკელმა, რომელიც წარმოშობით დეტროიტიდანაა, სახლთან ახლოს ყოფნა ისურვა და საამისოდ მოსალოდნელზე მცირე კონტრაქტსაც დათანხმა — რაფალსკი "წითელფრთიანებში" ხუთი წელი დარჩება, რომლის განმავლობაშიც 30 მილიონს მიიღებს.



## არის, თუ არა, ეს ბრიარი?

**„ბუფალოს“** თითქოს კრის დრურის დაკარგვა არ ეყოფოდა, როცა გუნდმა მეორე თანა-კაპიტანიც დაკარგა — დანიელ ბრიარსაც ფულმა აუჭრელა თვალები და გამზრდელ გუნდში დარჩენას „ფილადელფიაში“ გაქცევა ამჯობინა.

შარშანდელმა მაჩანჩალა „მფრინავებმა“ წლეულს გვარიანად არიეს სატრანსფერო ბაზარი — ჯერ იყო და ორიოდ კვირის წინ აშკარად საჭიროზე მეტი გადაუხადეს კიმო ტიმონენსა და სკოტ ჰარტნელს. აგერ ახლა კი ვარსკვლავურ ცენტრზეც არ იძუნწეს და ბრიარს მართლაც ფანტასტიური კონტრაქტი უბოძეს, გაუფორმეს რა 8 წლიანი და 52 მილიონიანი კონტრაქტი.

**კახა ლომჯარიძე**

## უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 £

# დაჩეხილი ამელი

## ჩეხებმა მორესმოს სისხლი გაუშრეს

3 ივლისი

**კაცები**

**მესამე წრე**

ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 6:3 7:5 6:3; ლეიტონ ჰიუიტი (16, ავსტრალია) — გილერმო კანასი (22, ესპანეთი) 6:4 3:6 6:3 6:4

**მეოთხე წრე**

ხუან კარლოს ფერერო (20, ესპანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 7:5 6:3 7:6

**ქალები**

**მეოთხე წრე**

ანა ივანოვიჩი (6, სერბეთი) — ნადია პეტროვა (11, რუსეთი) 6:1 2:6 6:4; ნიკოლ ვაიდიშოვა (14, ჩეხეთი) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) 7:6 4:6 6:1; სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:3 6:2; მარიონ ბარტოლი (18, საფრანგეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 3:6 7:5 6:3



AFP

ნიკოლ ვაიდიშოვამ უიმბლდონს შარშანდელი ჩემპიონი ჩამოაშორა

**წვიმით** გაჯერებულმა კიდევ ერთმა ლონდონურმა დღემ ორი ხმაურიანი სენსაცია მოგვიტანა. ისე, ინგლისურმა ცამ გუშინ ჩოგბურთელებიც და მაყურებელიც გვარიანად აწვალა, რადგან მატჩები შვიდჯერ (!!!) შეწყდა, რამაც მეჩოგნეთა ნაწილი კალაპოტიდან გვარიანად ამოაგდო და ზემოაღნიშნული მოულოდნელობებიც დიდწილად ამან განაპირობა.

უმთავრესი კი მაინც მოქმედ ჩემპიონ ამელი მორესმოს მარცხი იყო. ისე, ფრანგს გული თუ უგრძნობდა და თავს იზღვევდა, მაგრამ ფაქტია, რომ მაინდამაინც ამ თამაშის წინ განაცხადა, ჩოგბურთში თინეიჯერები ძალიან მომრავლდნენ და მათ ხომ ვერაფერს ვუგებ, მაგრამ უარესი ისაა, რომ თავს უკვე მოხუცებულად ვგრძნობო. ჰოდა, მხარბეჭიანი მექალთანის სიტყვები წინასწარმეტყველებასავით ახდა — გუშინ მორესმომ მართლა ვერაფერი გაუგო და მოუხერხა ნიკოლ ვაიდიშოვას. გარდა ამისა, კორტზე ვერცხლისწყალივით მოძრავ თინეიჯერ ჩეხთან შედარებით ამელი მართლაც ასაკოვნად გამოიყურებოდა.

ვაიდიშოვამ ასე მწარედ უკვე მეორედ გააწბილა ფრანგი — მორესმოს კარგად ახსოვდა შარშან „როლან გაროსზე" ჩეხისგან ნაწვნევი მარცხი და გუშინ თითქოს შურის საძიებლადაც გადიოდა კორტზე, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა და ვაიდიშოვას „ვალი" ამელის წინაშე კიდევ უფრო გაიზარდა. ნიკოლმა მშვენივრად იჩოგნავა და სოლიდური თამაშიც აჩვენა, თუმც თავად მორესმო რომ არ წახმარებოდა, ჩეხს ძალიან გაუჭირდებოდა — 17 ორმაგი და 34 უნებლიე შეცდომის შემდეგ ფრანგს წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

„ამდენი შეცდომა, მგონი, არასდროს დამიშვია. საერთოდ საკითხავია, კორტზე მე ვიყავი თუ სხვა ვინმე" — დაბნეული იყო ნამატჩევს ფრანგი, რომელსაც წლეულს ჩეხები ავ ბედისწერად ექცნენ — ავსტრალიის ღია პირველობიდან და "როლან გაროსიდან" ლუსი შაფაროვამ დაიფრინა, რომლისგანაც ესტაფეტა ახლა ვაიდიშოვამ გადაიბარა.

დღის მეორე მოულოდნელობა კი ტურნირის ძალიან ძლიერად დამწყები ელენა იანკოვიჩის მარცხი იყო. სერბმა პირველი ორი წრე ისე გაიფრინა, რომ მეტოქეები თითქოს ვერც შეამჩნია. მაგრამ ბალკანელს უკვე წინა შეხვედრაში დაეტყო, რომ ვერ იყო თავის იშტაზე, რაც გუშინ მარიონ ბარტოლიმ საქმით დაამტკიცა. როგორც ნამატჩევს ზოგი ხუმრობდა, იანკოვიჩი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია თავის ფავორიტობას და ამიტომ ვერ უძლებს იმ ზეწოლას, როცა მისგან ყველა ყოველთვის გამარჯვებას მოელის. ასეა თუ ისე, წვიმით გამოწვეულმა შესვენებამ სასარგებლოდ არ იმოქმედა სერბზე, რომელიც კორტზე მობრუნების შემდეგ საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ფრანგმა კი თავისი შანსით კარგად ისარგებლა და პირველად უწია რაგინდარა სლემტურნირის მეოთხედფინალს.

თუმც სერბებს ხასიათი ანა ივანოვიჩმა მაინც გამოუსწორა, რომელმაც ძალიან მძიმე ჯახში დასცა ნადია პეტროვა. თუ იანკოვიჩის შემთხვევაში სერბი წვიმამ დაღუპა, ლონდონურმა შხაპმა ივანოვიჩი პირიქით, იხსნა — მატჩის შეწყვეტამდე გადამწყვეტ სეტში ბალკანელი 2:3-ს აგებდა და თან პეტროვა აწოდება, მაგრამ კორტზე მობრუნების შემდეგ ანამ მაგრად იყოჩაღა და თავის წილ აღებული ოთხი გეიმის სანაცვლოდ მხოლოდ ერთი დათმო, რითაც ვაიდიშოვასთან მეოთხედფინალში რანდევუ გაინაღდა.

მეოთხე წრის კიდევ ერთ შეხვედრაში სვეტლანა კუზნეცოვამ ელენა დემენტიევას დამარცხებისთვის 16 წლის ტამირა პაშეკზე იძია შური.

კაცთა ბადეში კი მხოლოდ სამი შეხვედრის ჩამთავრება მოესწრო. ორშაბათს დაწყებული 20 წუთში მოამთავრა ნიკოლაი დავიდენკომ და ემოციური გაელ მონფილზი ლა მანშის მეორე მხარეს გაუშვა. საქმის შორს გადადება არც ლეიტონ ჰიუიტმა ისურვა — ოზმაც მალე მოუღო ბოლო გილერმო კანასს.

მეოთხე წრის ერთადერთ დასრულებულ კაცთა შეხვედრაში კი ხუან-კარლოს ფერერო ძალიან ადვილად გაუმკლავდა იანკო ტიპსარევიჩს და კარიერაში პირველად უწია უიმბლდონის მეოთხედფინალს. თუმც ესპანელს იქ კარგი არაფერი ელოდება, რადგანაც თამაშს დანატრებულ როჯერ ფედერერთან მოუწევს დატაკება.

**კახა ლომჯარია**

# წვიმას დაასწრო, რუსს გაასწრო

**ოქსანა კალაშნიკოვამ** წარმატებით დაიწყო უიმბლდონის გოგონათა ტურნირი ერთადერთმა ჩვენებურმა, ვინც სეზონის მესამე სლემტურნირზე თამაშობს, 6:1 6:4 გაანადგურა ქალთა რეიტინგში 361-ე ადგილზე მყოფი რუსი არინა როდიონოვა.

ოქსანას არინასთან ჯერ კიდევ ორშაბათს უნდა ეთამაშა, მაგრამ ამის გაკეთება უამინდობის გამო ვერ მოახერხა და გუშინ კი წვიმასაც დაასწრო — მორიგ გააუდრებამდე მოამთავრა საქმე.



მეორე წრეში კალაშნიკოვას საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავს მე-9 ნომრად განთესილი ბრიტანელი ნაომი კავედეის სახით, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 232-ე საფეხური უკავია. კავედეი ძირითად შეჯიბრშიც მონაწილეობდა და იქ, კინაღამ გვარიანი სენსაცია გამოაცხო — მარტინა ჰინგისთან პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორეშიც წინ იყო და ბოლოსღა დაუთმო უიმბლდონის ძველ ჩემპიონს. რაც შეეხება გოგონათა ტურნირის პირველ წრეს, აქ ნაომიმ 6:2 6:1 მოუგო ხორვატ ჯასმინა ტინჯიჩს.

# ჯერ მასპინძელი

**იტალიის** ქალაქ კუნეოში ITF-ის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი ტურნირი ტარდება. გასულ კვირას მეორე იტალიურ ქალაქ პადოვაში 25-ათასიანი შეჯიბრის მომგები მაკა ჩახნაშვილი კუნეოს თიხნარზე ძირითად ბადეშია და პირველ წრეში კორტის მასპინძელს, 17 წლისა და კლასიფიკაციაში 516-ე ადგილზე მყოფ კორინა დენტონის შეხვდება, ვინც ტურნირში „ვაილდ ქარდით", ანუ ორგანიზატორთა მიწვევით თამაშობს.

თუ ამ დენტონის მოუგებს, მერე მაკა ან მე-7 ნომრად განთესილ გერმანელ ჯულია შრუფს დაუპირისპირდება, ანაც კვალიფიკაციაგამოვლილ იტალიელ ვერდიანა ვერარდის.

# სოფოს პროკუპლიე ლიუბიცათი დასრულდა

**საკვალიფიკაციო** შეჯიბრის ბოლო ეტაპზე დაასრულა სერბეთის ქალაქ პროკუპლიეში თამაში სოფო ქვაცაბაიამ. იქაურ თიხნარზე 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და სოფო ახლოს იყო ძირითად ბადესთან — მასპინძელ ლიუბიცა ავრამოვიჩს პირველი სეტი მოუგო, მაგრამ მეტი ველარ შეძლო, 6:4 3:6 4:6 დამარცხდა და პროკუპლიეს დაემშვიდობა.

შავი ზღვის ქვეყნების თამაშები

ტრაპიზონი. თურქეთი

# თამამ, თამამ!

## შავი ზღვა თამაშ-თამაშ გაერთიანდა

**თურქეთის** ქალაქ ტრაპზონში გუშინ დაიწყო შავი ზღვის ქვეყნების I სპორტული თამაშები, რომლის საზეიმო გახსნაც ორშაბათს გაიმართა. როგორც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრის ხელმძღვანელმა თათია ბურდულმა გვაცნობა, მას თურქეთის პრემიერ-მინისტრიც დაესწრო, რაც ამ კომპლექსური შეჯიბრების მნიშვნელობაზეც მეტყველებს, თუმცა ეს თავყრილობა ორგანიზებულობით ჯერჯერობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა. ყოველ შემთხვევაში საქართველოს დელეგაციის წევრებს, რომლებიც ტრაპიზონის ტექნიკურ უნივერსიტეტში არიან დაბინავებულნი, პირველ დღეს ვარჯიში უკლებლივ ყველას გაუცდა. უკეთ არც მეორე დღემ ჩაიარა. ჩვენი მოცურავეები იძულებულნი გახდნენ, სავარჯიშოდ ერთ-ერთ კერძო აუზს მისდგომოდნენ და დაუგეგმავი ხარჯიც გაეღოთ. იმედია, მასპინძლები ხარვეზებს გამოასწორებენ და გუნდებს სასაყვედუროც აღარაფერი ექნებათ.

ასეა თუ ისე, ტრაბზონში მასპინძელთა გარდა თავი მოიყარეს: აზერბაიჯანის, ალბანეთის, ბულგარეთის, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის, საბერძნეთის, საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის წარმომადგენლებმა, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდული ასაკისანი არიან. ამათგან, თუ არ ჩავთვლით მასპინძლებს, ყველაზე მრავლად — 450-კაციანი დელეგაციით ტრაბზონში რუსები არიან წარმოდგენილნი.

სხვებთან შედარებით ამ მხრივ საქართველოც თავისი 180 კაცით შთამბეჭდავად გამოიყურება. ისინი იასპარეზებენ ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ტაეკვანდოში, მძლეოსნობაში, ცურვაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, მშვილდოსნობაში, ველორბოლაში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

გუშინ დილით დირესპენში ველომრბოლელებმა აიღეს სტარტი და 180 კილომეტრი გაიარეს. ეს მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. საბოლოო შედეგი კი დღეს, ტრაპიზონში გაირკვევა. ქართველმა ნოდარ ყვავაძემ რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა. დავით ასკურავა მე-13 იყო, ამირან სვანიძე — 22-ე, რამაზ ბაბუხადია — 31-ე, კონსტანტინე ალავერდაშვილი — 33-ე, ხოლო ვიქტორ ერიოხინი ბოლო, 34-ე ადგილზე გავიდა.

ჩვენმა ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა და ფეხბურთელებმა კი პირველი შეხვედრები წააგეს. ფრენბურთელები უკრაინასთან დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდნენ. კალათბურთელები საბერძნეთთან 59:103 განადგურდნენ, ოღონდ აქვე ისიც ვთქვათ, რომ ქართველები 16-წლამდელთა გუნდით ჩავიდნენ თურქეთში და სამი წლით უფროსებთან მოუწიათ თამაში. ფეხბურთელებმა კი მასპინძელთა ნაკრებთან დათმეს 3:5.

**ავთანდილ ბუყიშვილი**



AFP

# კრისტოფ მორომ ეროვნულიც შეირგო

**ძველი ტრადიციაა** და ეს ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა — „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ეროვნული ჩემპიონატები ჩატარდა როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ რბოლებში. დღეს თქვენს ყურადღებას ჯგუფურ რბოლებს მივაპყრობთ და გაგაცნობთ, თუ ვინ გახდნენ მოწინავე ველოქვეყნების ნაციონალური ჩემპიონები.

საფრანგეთით დავიწყოთ, რადგანაც ყველაზე ლოგიკურად ეროვნული პირველობა, სწორედ „ტურ დე ფრანსის" სამშობლოში დასრულდა — 242-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა უდიდესი უპირატესობით მოიგო საფრანგეთის №1 მრბოლმა და მოახლოებულ „ტურზე" ქვეყნის, ფაქტობრივად ერთადერთმა იმედმა კრიტოფ მორომ. წლევანდელი „დოფინე ლიბერეს" გამარჯვებულმა 242 კილომეტრი 6 საათში, 6 წუთსა და 25 წამში გალია და 2 წუთითა და 19 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ პიერიკ ფედრიგოს.

ახლოს იყო გამარჯვებასთან დღევანდელობის საუკეთესო ესპანელი მრბოლი ალეხანდრო ვალვერდეც, მაგრამ მას „კაისე დეპარგნიში" თანაგუნდელმა ხოაკინ როდრიგესმა აჯობა. 189,4-კილომეტრიანი გზა როდრიგესმა 4 საათში, 13 წუთსა და 6 წამში გაირა და მოახლოებული „ტურის" ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული ვალვერდე 7 წამით ჩამოიტოვა.

ბელგიური „ქვიკ სტეპის" 24 წლის მრბოლის, ჯოვანი ვისკონტის გამარჯვებით დასრულდა იტალიის ჩემპიონატი. 262-კილომეტრიანი გზის ბოლოს ვისკონტიმ საფინიშო საქმის გარჩევაში აჯობა პაოლო ბოსონისა და დავიდე რებელინის.

გერმანიის ჩემპიონის ვინაობა ასევე ბოლო მეტრებზე გაირკვა და „გეროლშტაინერის" ფაბიენ ვეგმანმა უკან მოიტოვა „T-მობაილის" პატრიკ სინკევიჩი და „მილრამის" კრისტიან კნესი.

ვეგმანის თანაგუნდელი პეტერ ზბერგი შვეიცარიაში იყო საუკეთესო. ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი ფაბიენ კანსელარა ზბერგმა 205-კილომეტრიან გზაზე 2 წუთითა და 15 წამით ჩამოიტოვა.

ბელგიის ჩემპიონატში მხოლოდ მეორე იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტომ ბოონენი, ვისაც 16 წამით გაუსწრო ერიკ დეკოლდერმა, ხოლო ჰოლანდიის პირველობაში საუკეთესონი „რაბობანკის" მრბოლები — მორენჰოუტი და ლანგეველდი იყვნენ.

# დანიური ექსპრესი



კარლოს სასტრე

**მას შემდეგ**, რაც დანიური CSC-ის შეფმა, „ტურ დე ფრანსის" 1996 წლის ჩემპიონმა ბიარნე რიისმა აღიარა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში სისტემატურად იღებდა დოპინგს, თავად ხომ განტევების ვაცად იქცა და ბევრი ფიქრობდა, რომ რიისის აღიარება მისი გუნდის ამბიციურ მიზნებსაც შეუყენებდა წყალს.

ჯერჯერობით საამისო ნიშნები არ ჩანს. გუნდი, რომელმაც შარშანდელი „ტური" ივან ბასოს გამოკლების შემდეგაც უაღრესად მაღალ დონეზე ჩაატარა, წლეულსაც სრულ მზადყოფნაშია და უმაღლეს მიზნებს ისახავს.

შარშანდელ „ტურზე" კარლოს სასტრე თითქმის ბოლომდე პირველობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო და წლეულსაც, ალბათ, ეს ესპანელი იქნება დანიური ველოგუნდის ლიდერი. თანაც, შარშანდელთან შედარებით ერთი წლით გაიზარდა და შესაბამისად, უფრო გამოცდილი გახდა ლუქსემბურგელი ძმებიდან უფროსი — ფრანკ შლეკი და მთებში ის სასტრეს ბრწყინვალე თანადგომას გაუწევს. იგივე ითქმის ესპანელ ინიგო კუესტაზეც. ბარის ეტაპებზე დანიელებს ავსტრალიელი სტიუარტ ოგრეიდის ეიმედებათ და ინდივიდუალურ რბოლებში კი ამ საქმის დიდოსტატები — შვეიცარიელი მსოფლიოს ჩემპიონი ფაბიან კანცელარა და ამერიკელი დევიდ ზაბრისკი ჰყავთ.

არც დანარჩენები არიან ჯაბანი მრბოლები — გერმანელ იენს ფოიგტს, ამერიკელ კრისტიან ვანდელველდესა და ნორვეგიელ კურტ ასლე არვესენს ათასი გზა გაუვლიათ, ათასი მთა გადაულახავთ და ასეთი შემადგენლობით CSC პირად პოდიუმზე თუ ვერ აიყვანს მრბოლს, გუნდური გამარჯვებისთვის ნამდვილად სერიოზულად იბრძოლებს.

# ლიქუიგასი იტალიაში დაიხარჯა

**წლევანდელი** „ჯირო დ'იტალიას" ჩემპიონმა და „პრო-ტურის" სერიის ლიდერმა დანილო დი ლუკამ კარგა ხნის წინ, „ჯიროს" დასრულებისთანავე ბრძანა, რომ „ტურ დე ფრანსზე" მონაწილეობას არ მიიღებდა და აქცენტს სეზონის ბოლოს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გააკეთებდა.

იტალიურ ველოგუნდ „ლიქუიგასს" დი ლუკას გარდა „ჯიროზე" თავგამოჩენილი კიდევ რამდენიმე მრბოლი დააკლდება და ფრანგულ სუპერრბოლაში მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გაუჭირდება. გუნდის ლიდერი, სავარაუდოდ, ესპანელი მანუელ ბელტრანი იქნება. მას გვერდს შემდეგი მრბოლები დაუმშვენებენ: მიხაელ ალბასინი (შვეიცარია), კილ კარლსტრომი (ფინეთი), მურილიო ანტონიო ფიშერი (ბრაზილია), ვლადიმირ მილოშევიჩი (ხორვატია), მატეა მუგერლი (სლოვენია), ვილიამს ფრედერიკი (ბელგია), მანუელ ქვინსატო და ფილიპო როზატო (ორივე იტალია).

# ველოშუმახერი და სხვა გერმანელები



შტეფან შუმახერი

მარკუს ფოტენი და შტეფან შუმახერი — აი, ეს მრბოლები იქნებიან გერმანული „გეროლშტაინერის" მთავარი იმედები ფრანგულ სუპერრბოლაში.

ფოტენი თანამედროვე პელოტონის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მრბოლია, ხოლო შუმახერი უკვე სტაბილური ველოსიპედისტი გახლავთ, ვინც წლეულს რამდენიმე გამარჯვებით იწონებს თავს.

„გეროლშტაინერი" მთლიანად გერმანულენოვანი გუნდია — ფოტენისა და შუმახერის გარდა გუნდში კიდევ ხუთი გერმანელი (რობერტ ფიორსტერი, ჰაინრიხ ჰაუსლერი, დავიდ კოპი, სვენ კრაუსი, ფაბიან ვეგმანი) და ორი ავსტრიელი (ბერნჰარდ კოლი და პეტერ ვროლიხი) ირიცხება. გუნდი საკმაოდ ამბიციურია და ყვითელ მაისურაზე არა, და რამდენიმე ეტაპის მოგებაზე პრეტენზია ნამდვილად ექნება.

# ერთი ეტაპის გუნდი

**ფრანგული** „ბუყ ტელეკომი" „პრო-ტურის" სერიაში მეორე ეშელონის გუნდად ითვლება და ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს. ჟანრენე ბერნადეს გუნდს დიდი ამბიციები არც წლევანდელ „ტურზე" ექნება, თუმცა ერთი ეტაპის მოგებას მაინც შეეცდება. ამის შემძლები მრბოლები გუნდში ნამდვილად ირიცხებიან და მათგან პირველ რიგში ფრანგი ტომას ვოკლერი უნდა ვახსენოთ, ვინც თანამემამულე პიერიკ ფედრიგოსთან ერთად ლიდერის ფუნქციის შესრულებას შეეცდება.

ამ ორის გარდა „ტურ დე ფრანსზე" „ბუყ ტელეკომის" ღირსებას შემდეგი მრბოლები დაიცავენ: შტეფ კლემენტი (ჰოლანდია), ხავიერ ფლორენსიო (ესპანეთი), იოჰან შოპი (შვეიცარია), ანტუან გესლინი, ლორენ ლეფევრი, ჟერომ პინიო და მატიუ სპიკი (ყველა — საფრანგეთი).

# მთებში პარა, ბარში მორენი



ივან პარა

**ფრანგულმა** „კოფიდისმა" შარშანდელ „ტურზე" ერთი ეტაპი მოიგო და მინიმუმ ამის გაკეთებას წლეულსაც შეეცდება. კოლუმბიელი ივან პარას სახით „კოფიდისს" ჰყავს გამოკვეთილი სამთო ლიდერი. რაც შეეხება ბარის ეტაპებს, აქ გუნდს იტალიელი კრისტიან მორენის იმედი აქვს. თუმცა, სავარაუდოდ, „კოფიდისი" უფრო გაქცევებზე გააკეთებს აქცენტს და ასე შეეცდება წარმატების მიღწევას.

პარასა და მორენის გარდა გუნდში არიან ტრეკის ბრიტანელი ჩემპიონი ბრედლი ვიგინსი, ბელგიელები — რიკ ვერბრიუგე, შტეფ შერლენკხი, ნიკ ნუიენსი და ფრანგები — სილვაინ შავანელი, სტეფან აუგე და ჟოფრეი ლექუატრე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge